

გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2017, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ღაპის განსჯადობა

განჩინება

№ბს-961-952(გ-16)

23 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
ნ. სხირტლაძე

ღავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 9 დეკემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“ მხარეთა შორის 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 45 016 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...“ მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სასამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში და-

ვის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება. სასამართლოს მოსაზრებით, დავა დაკავშირებულია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების შესრულებასთან. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების საგანია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... მდებარე 16 783 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებულ №1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 341.88 კვ.მ/სხვა ფართი: განაშენიანების ფართობი 372 კვ.მ (საკადასტრო კოდი №...) საკუთრებაში გადაცემა. შპს „...“ ვალდებულია იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაზე პლასტმასის მწარმოებელი საწარმოს შექმნა წარმოების დაწყებაზე „განკარგულების“ გამოცემიდან არაუმეტეს 2 წლისა. ასევე, მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით არანაკლებ 104 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება, ხოლო ინვესტიციის არანაკლებ 25% უნდა განხორციელებულიყო „განკარგულების“ გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება პირგასამიტხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცემაზე დღეზე.

სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელ-

მნიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე შპს „...“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, სსიპ სახელმნიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს 2014 წლის 3 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებას წინ უსწრებდა „სახელმნიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმნიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანება და „სახელმნიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-31 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და ქონების შემძენს შორის იდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და შესაბამისი ვალდებულებების (მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების) წარმოშობის საფუძველია.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის და „ანარმოდ საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... მდებარე 16 783 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 341.88 კვ.მ/სხვა ფართი: განაშენიანების ფართობით 372 კვ.მ (საკადასტრო კოდი №...) პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა შპს „...“ (ს/კ ...).

„ანარმოდ საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის განხორციელების მიზნით, ქონების სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას უძრავი ქონების, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით მენარმე სუბიექტისთვის გადასაცემად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პროგრამის ბენეფიციარს, ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის მიღების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცემა უძრავი ქონება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემ-

თხვევაში სახეზეა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებითა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებულ საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რომელიც დადებულია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და შესაბამისად, დავაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, ქონების შემძენს სახელმწიფო არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და განუულ ხარჯებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა,

სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორცი-

ელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანია – მხარეთა შორის 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 45 016 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციული-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოანესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავე კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლობის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას

და არა მხოლოდ სუბიექტურ შემაღენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადაგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა – მხარეთა შორის 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 45 016 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმი-

სანვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...“ მიმართ, მხარეთა შორის 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან
გამომდინარე ღირსის განსჯადობა**

განჩინება

№ბს-128-126(გ-17)

20 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

ღირსის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 9 დეკემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“ მხარეთა შორის 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 634,5 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...“ მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ღირსის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...“ შორის 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგა-

სამტეხლოს გადახდა.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვრება. არსებითია, თუ როგორია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან და სადავო ვალდებულებიდან გამომდინარე იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, არამედ, ამ ხელშეკრულებით მხარეები კერძო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან და სადავო ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 იანვრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე შპს „...“ მიმართ, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმოშობილი. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალ-

წარმოებით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილ უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დავა შეეხება პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „...“ მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას. მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანების და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1703 განკარგულების საფუძველზე. სასამართლოს მითითებით, სწორედ ზემოაღნიშნული კანონით და დებულებით განისაზღვრა ნასყიდობის საგანი და მისი საპრივატიზებო პირობები.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცდა თანდართული დებულება „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“. ხოლო თავად დებულების 1.1 მუხლის თანახმად, ეს დებულება შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესს. ამავე დებულების 3.1 მუხლის თანახმად, ქონების სააგენტო სახელმწიფო ქონების შემძენთან ნასყიდობის

ხელშეკრულებას დებს პირდაპირი მიყიდვის (კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის) თაობაზე საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან 3 თვის ვადაში. გარდა ამისა, ამავე დებულების 4.9 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული კანონმდებლობით განისაზღვრება სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა და მათ შორის ფინანსური სანქციები – პირგასამტეხლო, რომლისგან გამომდინარე დავაც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით.

სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მყიდველთან დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ), დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით. შესაბამისად, აღძრული სარჩელი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და მის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3.

მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-

ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხო-

ლო დავის საგანია – მხარეთა შორის 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 634,5 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოანესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავე კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატე-

რიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა – მხარეთა შორის 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 634,5 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...ისთვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1703 განკარგულების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას და არა სარგებლობის უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...“ მიმართ, მხარეთა შორის 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა

განჩინება

№ბს-212-211(გ-16)

3 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სს სადაზღვევო კომპანია „...“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სს სადაზღვევო კომპანია „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.თბილისის მერიის მიმართ ქ. თბილისის მერიის-

სათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 3 539 698,97 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 30.12.2011წ. გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება ქ.თბილისის მერიასა და სს სადაზღვევო კომპანია „...“ შორის გლდანი-ნაძალადევის რაიონის განსაზღვრული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 4 178 668 ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაზღვეული უნდა ყოფილიყო 40 000 ადამიანამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 11 მარტამდე. ქ.თბილისის მერიამ ხელშეკრულება შეწყვიტა 31.10.2012წ., ვადის გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე. ხელშეკრულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი უთითებდა, რომ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად განეული მომსახურების ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ქ.თბილისის მერიამ სს სადაზღვევო კომპანია „...“ უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების დადებიდან მის შეწყვეტამდე სადაზღვევო კომპანიის მიერ ფაქტიურად განეული მომსახურების ღირებულება, კერძოდ 3 539 698,97 ლარი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, რადგან ემსახურება საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის უკეთესად განხორციელებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.02.2014წ. გადაწყვეტილებით სს სადაზღვევო კომპანია „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ დავის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რადგან მისი მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევა. სასამართლომ ზაკ-ის 65.2, სკ-ის 317.1, 361-ე, 394-ე, 799-ე მუხლების, ხელშეკრულების 15.5, 1.4, 3.1, 8.1 მუხლების საფუძველზე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა, ამასთანავე, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ნორმა, რომელიც რაიმე გარემოების დადგომის შემდეგ მზღვეველს სრულად აუნაზღაურებს ხელშეკრულების მოქმედების დროს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ და გაღებულ ხარჯებს, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.02.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სს სადაზღვევო კომ-

პანია „...“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2014წ. განჩინებით სს სადაზღვევო კომპანია „...“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.02.2014წ. გადაწყვეტილებაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია ქ. თბილისის მერისა და სს სადაზღვევო კომპანია „...“ შორის 30.12.2011წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება მომსახურება გაენია შემსყიდველისათვის, რაც გულისხმობდა განსაზღვრული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხელშეკრულების დადების შედეგად არ წარმოიქმნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან საჯარო ქმედების განხორციელების მოვალეობა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა ვალდებულება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად განეული მომსახურების ღირებულება. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, რასაც აგრეთვე ადასტურებს სს სადაზღვევო კომპანია „...“ მიერ სარჩელის სამართლებრივ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის ნორმების მითითება, საიდანაც დგინდება, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, შესაბამისად, საქმე განსჯადობით გან-

სახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.11.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში დაცული დოკუმენტაციით დასტურდება ანალოგიური დავის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ. აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რაც გამორიცხავს განსახილველი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სს სადაზღვევო კომპანია „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაცი-

ული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13)). ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სა მოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ხოლო დავის საგანს შეადგენს ქ.თბილისის მერიასა და სს სადაზღვევო კომპანია „...“ შორის 30.12.2011წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ქ.თბილისის მერიისათვის 3 539 698,97 ლარის დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია), ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია) (იხ. სუს 11.09.2014 წ. განჩინება საქმეზე №ბს-350-316(გ-14)).

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული

30.12.2011წ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ქ. თბილისის მერიამ სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ სს „სადაზღვევო კომპანია ...“ შეისყიდა თბილისის, გლდანი-ნაძა-ლადევის რაიონის განსაზღვრული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება. სადაზღვევო კომპანიამ, მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაში, იკისრა მოსახლეობის ხელშეკრულებით განსაზღვრული კატეგორიისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაზღვევის ვალდებულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, რადგან ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება მომსახურება გაენია შემსყიდველისათვის, რაც გულისხმობდა განსაზღვრული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელშეკრულების სუბიექტებისა, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხელშეკრულება არ დადებულია საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, შესაბამისად ის კერძო-სამართლებრივია. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას, შესაბამისად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. დავა წარმოშობილია არა სადაზღვევო კომპანიასა (მზღვეველს) და სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე დაზღვეულ პირს შორის, ან მიმწოდებელს (სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელს) და პაციენტს, ან სადაზღვევო კომპანიასა და მიმწოდებელს (სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელს) შორის, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს (მერიასა) და სადაზღვევო კომპანიას (მზღვეველს) შორის. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით ან ვაუჩერით. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 14.05.2012წ. №177 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდე-

ბის წესები“, საქართველოს მთავრობის 15.03.2012წ. №92 დადგენილებით დამტკიცებული „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები“, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“ არეგულირებდნენ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სუბიექტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, საბიუჯეტო სახსრებით მოსახლეობის შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფისათვის დაფინანსებული სამედიცინო, ფარმაცევტული და სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში მონაწილე სუბიექტებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს და აუცილებელ სახელშეკრულებო პირობებს (წესების 1.1 მუხ.). ხსენებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირება, პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე ორგანოს უფლებამოსილება, მათ შორის საჯარიმო სანქციების დაკისრება. ამასთანავე, საქმის მასალებით, მათ შორის სს სადაზღვევო კომპანია „...“ ტექნიკური დავალებით დასტურდება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დასაზღვევ პირთა კონტიგენტს შეადგენს: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები 70 001-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით, სარეიტინგო ქულის არ მქონე სოციალურად დაუცველი პირები, ასევე სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების სააგენტოს თანამშრომლები: შემოქმედებითი კავშირის წევრები, ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო ობიექტების თანამშრომლები, წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, 1989 წლის 09 აპრილს დაზარალებულები, სსიპ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომლები და არაასაკით პენსიონერი მოსახლეობა. ამდენად, ხელშეკრულების მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ გარკვეული სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, 31-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. სოციალური სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში სახელ-

მნიფო ადგენს შრომის მინიმალურ ანაზღაურებას, შრომის უსაფრთხოების პირობებს, მატერიალურად ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, უწესებს მათ სხვადასხვა შეღავათებს, ქმნის პირობებს ჯანდაცვის განვითარებისთვის, მიმართავს ღონისძიებებს სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად, უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას და სხვ.. სახელმნიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (კონსტიტუციის მე-7 მუხ.), მათ შორის სოციალურ უფლებებს, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის უფლებას (კონსტიტუციის 37-ე მუხ.). სახელმნიფო თავისი ფუნქციებს ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იურიდიული პირების მეშვეობით. ჯანმრთელობის დაცვის უფლებას სოციალური უფლების მნიშვნელობა გააჩნია. ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა სახელმნიფოს აქტიურობაზე, კერძოდ მის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმნიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზეა დამოკიდებული. სამედიცინო დაზღვევა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სოციალური გარანტია, რომლის მიზანია სადაზღვევო შესატანებისა და აკუმულირებული ფულადი სახსრების მეშვეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ხელშეკრულების საფუძველზე პირისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004წ. №515-II ს დადგენილებით) თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოანესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად (3.1 მუხ.), როგორც წესი, სახელმნიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან (4.3 მუხ.). ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებული მართვის პროცესის უზრუნველყოფა, რის მისაღწევად ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში, რათა შექმნას თითოეული მოქა-

ლაქისათვის ღირსეული არსებობის პირობები. ხელშეკრულების დადებისას – 30.12.2011წ. მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 16.2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ თვითმმართველი ერთეული იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზების, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოების იმ ჯგუფების სამედიცინო დაზღვევა, რომელთაც სათანადო სამედიცინო დახმარების მიღება არ შეუძლიათ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ იქნება განხილული კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებად, რადგან მიმართულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული – სოციალური ფუნქციის განხორციელებისაკენ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ძირითადი, უშუალო ფუნქციის განხორციელებისკენ მიმართულ საქმიანობას გულისხმობს, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

ადმინისტრაციული ორგანო (განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერია) თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით. ის, რომ სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) უშუალოდ არ ახდენს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე განეული ფაქტობრივი ხარჯის ანაზღაურებას და დებს სამედიცინო დაზღვევის ხელშეკრულებას, არ ნიშნავს, სახელმწიფოს მიერ ამ ფუნქციის განუხორციელებლობას, ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს. ადმინისტრაციული ორგანო თავისი შეხედულებით წყვეტს საქმიანობის რომელი სამართლებრივი ფორმა გამოიყენოს: აქტი, რეალაქტი თუ ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მასზე დაკისრებული მიზნების მისაღწევად დადოს ხელშეკრულება, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება, რომ მხარეთა შორის დადებულ მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებას საფუძვლად ედო საჯარო-სამართლებრივი მიზანი – თვითმმართველობის მიერ მოსახლეობის გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების მი-

ლების გარანტიების შექმნა.

განსახილველი დავის შინაარსს არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლიანობას ასაბუთებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი დასაბუთება არ ზღუდავს სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადანაცვლებაში, მით უფრო, რომ მოსარჩელე სარჩელში არაერთგზის გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მერიასთან დადებული ხელშეკრულება თავისი არსით არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, აღნიშნულს არც მოპასუხე – ქ. თბილისის მერია უარყოფს, რომელიც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად უთითებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, კერძოდ, სზაკ-ის 66-ე მუხლს, აგრეთვე „ქ. თბილისში სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 19.10.12 წ. №434 დადგენილებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები, ამასთანავე, დადგენილების განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის მიზანი და არსი არ შეცვლილა და 30.12.11წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულის ანალოგიური დარჩა (აღსანიშნავია, რომ 19.10.12წ. №434 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 31.10.12წ. №440 დადგენილებით და ქ. თბილისის მერიას ეთხოვა ზემოაღნიშნული დადგენილებების ამოქმედებამდე ღონისძიებების განხორციელება, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტა დავის საგანს არ შეადგენს, დავის საგანი ეხება ფულადი ვალდებულების შესრულებას). ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ის გარემოება, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ...“ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის აუცილებლობას. მოსარჩელე თავად წყვეტს სარჩელის აღძვრის საჭიროებას, განსაზღვრავს მოპასუხეს, სასარჩელო მოთხოვნას და ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მისი მოთხოვნის დასაბუთებას, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას სასამართლო ახდენს. ამასთანავე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ (სზაკ-ის 65.2 მუხ), ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას, აგრეთვე, ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სზაკ-ის 70.1 მუხ.). ამდენად, საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობა თავად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებში სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესების გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას, მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არსებითად უკვე განხილული აქვს ანალოგიური დავა (23.01.2015წ. განჩინება, საქმე №3ბ/409-14), საკასაციო სასამართლოს 08.10.2015წ. №ბს-176-173(კ-15) განჩინებით სადაზღვევო კომპანიის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს სადაზღვევო კომპანია „...“ სარჩელი მოპასუხე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა

განჩინება

№ბს-832-824(გ-16)

18 მაისი, 2017წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელთან დაკავშირებით დავა, მოპასუხე თ. მ-ის მიმართ, განსჯადობის თაობაზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 15.09.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას თ. მ-ის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის სახით გადაცემული 4712,65 ლარის დაბრუნება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ განვითარებისა და რეფორმების ფონდსა და თ. მ-ს შორის 24.07.2009წ. დაიდო გრანტის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თ. მ-ს 2010 წელს ჯამში გადაერიცხა 2026 ევროს ექვივალენტი 4712,65 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს უსასყიდლოდ გადასცემს მიზნობრივ ფულად სახსრებს სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად (სამგზავრო, საცხოვრებელი და სხვა ხარჯები), რომელიც შეადგენს 5000 ევროს, ხოლო სწავლისათვის ასევე 5000 ევროს. ამასთან, გრანტის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მის მიერ შერჩეული ფორმითა და საშუალებით მოახდინოს გრანტის მიმღებისათვის გადარიცხული თანხების ხარჯვის მონიტორინგი. ხელშეკრულების მიხედვით გრანტის მიმღებმა იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული გრანტის თანხები მხოლოდ ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიზნებისათვის გამოიყენებინა, სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება მხოლოდ გრანტის გამცემის თანხმობით იყო დასაშვები. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გრანტის გამცემი იტოვებს გაცემული თანხის ამოღების უფლებას.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 30.12.2009წ. №970 ბრძანებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა სსიპ განვითარების რეფორმების ფონდის ლიკვიდაცია, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ სასწავლო-სამაგისტრო და სხვა სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ფონდის უფლებების და მის მიერ ნაკისრი მოვალეობების განხორციელება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა, რომელმაც მოპასუხეს 14.01.2016წ. №26662 წერილით სთხოვა წარმოედგინა მათ შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად სასწავლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. 23.01.2016წ. თ. მ-ის მამამ სამინისტროში წარადგინა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ გრანტიორის ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ მოხერხდა ბოლო გამოცდის ჩაბარება და ვერ იქნა წარმოდგენილი დიპლომი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ითხოვს გრანტის სახით გადაცემული 4712,65 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.09.2016წ. განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი თ. მ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე გადაეცა განსჯად თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ განვითარებისა და რეფორმების ფონდსა და თ. მ-ს შორის გრანტის შესახებ 24.07.2009წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე 24.07.09წ. ხელშეკრულება არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ადმინისტრაციული კოლეგიის აზრით სადავო ურთიერთობა სამოქალაქო სასამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.09.2016წ. განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი თ. მ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 21.05.2004წ. №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე. ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტრო ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესს, ადგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემისა და გადატანის წესს. კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა სახელმწი-

ფო სასწავლო გრანტის გაცემის სფეროსთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც საქართველოს მთავრობის 21.05.2004წ. №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებულ საჯაროსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, შესაბამისად, მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება საგნობრივი განსჯადობის საკითხს.

სასკ-ის 2.3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ განვითარებისა და რეფორმების ფონდსა და თ. მ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშ-

ვნელობა ენიჭება ხელშეკრულების საფუძველს, სამართალურ-თიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულება დადებულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სახეზე იქნება სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო ურთიერთობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერძოსამართლებრივია, სადავო სამართალურთიერთობა კერძოსამართლებრივი ბუნებისაა. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

„გრანტის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, უცხო ქვეყნის მთავრობა, უცხოეთის ან საქართველოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს სამინისტრო. ამდენად, გრანტთან დაკავშირებული დავის ბუნება შესაძლოა იყოს როგორც კერძოსამართლებრივი, ასევე საჯაროსამართლებრივი. მოცემულ შემთხვევაში გრანტის შესახებ 24.07.09წ. ხელშეკრულება დაიდო „გრანტის გამცემის“ სსიპ „განვითარებისა და რეფორმების ფონდსა“ და „გრანტის მიმღების“ – თ. მ-ს შორის. ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ“ 14.01.04წ. კანონის საფუძველზე შექმნილი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სსიპ განვითარებისა და რეფორმების ფონდის წესდება საქართველოს პრეზიდენტის 27.01.04წ. №33 ბრძანებულებით იყო დამტკიცებული. ამდენად, სსიპ რეფორმებისა და განვითარების ფონდი პასუხობს სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალური დეფინიციის ნიშნებს. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილეა ადმინისტრაციული ორგანო. სადავო ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხარედ გამოსვლა თავისთავად არ ადასტურებს დავის საჯაროსამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება და ამდენად, გამოვიდეს მხარედ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. ამდენად, ხელშეკრულების მხარის საჯაროსამართლებრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტორი ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“

ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ფონდსა და თ. მ-ს შორის დადებული გრანტის შესახებ 24.07.09წ. ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულება დაიდო საქართველოს მთავრობის 26.02.09წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გამოყოფილი ასიგნებებიდან. საქართველოს მთავრობის 26.02.09წ. №36 დადგენილებით, პროგრამა დამტკიცდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და საქართველოს მოქალაქეთა მიერ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც სახელმწიფოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს. 26.02.09წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული ასიგნებებიდან ღონისძიებების დაფინანსების წესი და პირობები ითვალისწინებს ფონდის მიერ გრანტის დაბრუნების წესს სამინისტროსათვის (მე-4 მუხ.).

საქართველოს პრეზიდენტის 27.01.04წ. №33 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის წესდების“ მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად ფონდი, წესდებაში აღნიშნული სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, გასცემდა გრანტებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე (მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო ურთიერთობა ეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის გაცემის საკითხს. გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგან-

მანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის („გრანტების შესახებ“ კანონის 2.1 მუხ.). გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები („გრანტების შესახებ“ კანონის 2.1 მუხ.). გრანტს ახასიათებს მიზნობრიობა, ანუ იგი გაიცემა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. განვითარებისა და რეფორმების ფონდსა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების მიზანს შეადგენდა სამაგისტრო სწავლების დაფინანსება, გრანტი მოიცავდა ორწლიანი სწავლების პერიოდს, ფონდი უზრუნველყოფდა სწავლისა და საცხოვრებლის ხარჯების ანაზღაურებას სამაგისტრო სწავლების პერიოდში. ამდენად, ხელშეკრულება დაიდო თ. მ-ის მიერ მაგისტრატურის კურსის გავლის დასაფინანსებლად, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ნორმებით რეგულირდება (მე-2 მუხ. „წ“ ქვეპუნქტი, მე-6.1 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი, მე-80¹ მუხ.). გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის. გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის, სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით („გრანტების შესახებ“ კანონის 5.2 მუხ.).

საქართველოს პრეზიდენტის 30.12.2009წ. №970 ბრძანებულების 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ განვითარებისა და რეფორმების ფონდი ლიკვიდირებულად გამოცხადდა, ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად, ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ სასწავლო-სამაგისტრო და სხვა პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ფონდის უფლებებისა და მის მიერ ნაკისრი მოვალეობების განხორციელება დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით დადგენილ ფარგლებში უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას. საქართველოს მთავრობის 21.05.2004წ. №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს დებულების“ 2.2 მუხლის „ც“ ქვე-პუნქტის თანახმად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოსილებათა ფარგლებში სამინისტრო ადგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემისა და გადატანის წესს, საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის რაოდენობას. ამავე კანონის 7.1 მუხლის „პ“ ქვეპუნქტით განათლების და მეცნიერების სამინისტროს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის წესი და პირობები. ხელშეკრულების დადების პერიოდში სახელმწიფო სასწავლო გრანტის საფასურის რაოდენობა განსაზღვრული იყო იმჟამად მოქმედი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 05.07.06წ. №664 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დებულებით. (სადღეისოდ მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.10.2011წ. №154/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი და პირობები“). „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის „ბ“, „გ“, „გ³“ ქვეპუნქტების მიხედვით, საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ მოცულობებსა და ოდენობებს, დაფინანსების ოდენობასა და პირობებს. საქართველოს მთავრობის 26.02.09წ. №36 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა სსიპ განვითარებისა და რეფორმირების ფონდისათვის სახსრების გადარიცხვა. ხსენებული დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული დაფინანსების წესის და პირობების თანახმად, ფონდი ანგარიშვალდებული იყო სამინისტროს წინაშე (მე-5 მუხ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ გრანტი მოცემულ შემთხვევაში გაიცა ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები მოცულია საჯარო სამართლის სხვადასხვა წყაროებით, ხელშეკრულება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება. შესაბამისად, სა-

დავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში სამაგისტრო გრანტის გაცემა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით განმტკიცებული განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების მიზნის მისაღწევად მოქმედებდა და ამ მიზნის მისაღწევად მან გამოიყენა ხელშეკრულების დადება, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რის გამოც 24.07.2009წ. დადებული ხელშეკრულება სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თავისი ბუნებით ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა. დავის განსჯადობას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე თანხის ანაზღაურებას მოითხოვს სკ-ის ნორმების (361.2 მუხ., 394.1 მუხ.) საფუძველზე. ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება (სკ-ის 361.2 მუხ.), კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების უფლება (394.1 მუხ.) არ ცვლის დავის ბუნებას, რომელიც უკავშირდება საბოლოო ჯამში ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებას, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული გრანტის სახსრების მიზნობრივ გამოყენებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.09.16წ. განჩინება დაუსაბუთებელია, მასში არ არის მოყვანილი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადობის დამადასტურებელი რაიმე მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-

ორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებითა და:

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯადობა

საჯარო სკოლის დირექტორს და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შორის ნარმოშობილი შრომითი დავების განსჯადობა

განჩინება

№ბს-934-926(გ-16)

28 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ლ. რ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. რ-მა 2014 წლის 28 აპრილს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ლ. რ-თან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 7 აპრილის №1/კ-260 ბრძანების ბათილად ცნობა, ლ. რ-ის აღდგენა სსიპ ... ქალაქ თბილისის №...-ე საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად და მისი განთავისუფლების გამო სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური მიუღებელი ხელფასის გათვალისწინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის განჩინებით, ლ. რ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ წინამდება-

რე დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს ბრძანების გამოცემაში სუბიექტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შეფასების ობიექტია მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც გამოიცა მინისტრის ბრძანება, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე ლ. რ-ის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის განსჯადობას განაპირობებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია, რომლის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ლ. რ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის საჭიროა მოსარ-

ჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდად ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიმართ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით, განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვას განაპირობებს საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა და/ან საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მონესრიგებული სამართალური თიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი განთავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და განთავისუფლების პირობებს; ასევე, მესამე შემთხვევა, როდესაც, პირი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი განთავისუფლების კანონიერების შეფასება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ლ. რ.-თან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 7 აპრილის №1/კ-260 ბრძანების ბათილად ცნობა, ლ. რ.-ის აღდგენა სსიპ ... ქალაქ თბილისის №...-ე საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად, ასევე მისი განთავისუფლების გამო სამსახურში არყოფნის მთელი

პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება. წერილობით დოკუმენტში – მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებაში პირდაპირაა მითითებული იმის თაობაზე, რომ ბრძანება ლ. რ-ის განთავისუფლების თაობაზე გამოცემულია შრომის კოდექსის ნორმაზე დაყრდნობით – საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა), შესაბამისად, სადავო სამართალურიერთობაში არ იკვეთება, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა. რამდენადაც, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

ამდენად, განსახილველი დავის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე დარეგულირების საჭიროებას პირდაპირ ადგენს კანონი. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ ლ. რ-თან შრომითი ურთიერთობა შეწყდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 7 აპრილის №1/კ-260 ბრძანებით, არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე გამოცემული ბრძანებით პირის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ – შრომითი უფლების დაცვის შესახებ, სამოქალაქო დავას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. რ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დაღვაასთან დაკავშირებით განსჯადობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-950-941(გ-16)

28 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საჩივართან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა

ტრმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „...“ მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 ივლისის განჩინებით სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სარჩელი, მოპასუხე შპს „...“ მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესა და შპს „...“ შორის 2014 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საგანია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა, რაზეც მომწოდებელმა აილო ვალდებულება შემსყიდველისათვის მიენიშნა ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი 42 357,36 ლარად. ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, ხოლო მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველისგან საქონლის ღირებულების დროული დარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე. მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მხარეებს შორის გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების შესახებ, ხოლო სადღეისო დავის საგანს შეადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. ამდენად, მართალია ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ამა თუ იმ

დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №107/ნ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრის ფუნქციებია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი კომპეტენციის ფარგლებში. სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულება კი სწორედ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დადებული ხელშეკრულებაა, რომლის არაჯეროვანი შესრულებისათვის ითხოვს მოსარჩელე მხარე მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღძრული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩ-

ნევს, რომ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მის ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი კომპეტენციის ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამ-

დენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის შესახებ 2014 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება შემსყიდველი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მიენოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 42 357,36 ლარის საქონელი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანო-

სათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნა, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვა.

მოცემულ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ხელშეკრულება არ აღჭურავს მხარეს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. ხელშეკრულების მხარეთა შორის არ არსებობს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მონესრიგდებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლად უდევს სამოქალაქო კანონმდებლობა, განსახილველი დავის საგანი დაკავშირებულია იმ სამართალურთიერთობასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილებების განმხორციელებელი ორგანოები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დავა კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, სასკ-ის 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებული დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე. სასკ-ის 26-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. შესაბამისად, სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულის თანახმად, უნდა განიხილოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სარჩელი მოპასუხე შპს „...“ მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის
სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებიდან
გამომდინარე ღირსის განსჯალოვა**

განჩინება

№ბს-73-72(კ-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

ღირსის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 31 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილის – 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ შემოთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საფასურით 31000 ლარი (დღგ-ს გარეშე); ხოლო 2009 წლის 16 თებერვალს შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმებულ იქნა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა აღნაგობის ყოველწლიური საზღაური 36580 ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). აღნაგობის საფასური მხარეს უნდა გადაეხადა ყოველთვიურად, არაუგვიანეს 25 რიცხვისა, 3049 ლარის ოდენობით.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით, 2010 წლის 8 ოქტომბერს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა გადანყვეტილება შპს „თ...“ კაპიტალიდან ქონების ამოღების თაობაზე, მათ შორის ზემოაღნიშნული ქონებისა. ამდენად, ქ. თბილისის მთავრობამ მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირისგან მოახდინა ქონების დაბრუნება. შესაბამისად, ხელშეკრულების მხარედ შპს „თ...“ ნაცვლად განისაზღვრა ქ. თბილისის მერია.

ვინაიდან მხარის მიერ არ სრულდებოდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის საფასურის გადახდა დადგენილ ვადაში, მოსარჩელემ მოპასუხე შპს „...“ ქ.

თბილისის მერიის სასარგებლოდ აღნაგობის საფასურის – 7 714 ლარის და პირგასამტეხლოს – 38 358,58 ლარის გადახდის დაკისრება და 2013 წლის 25 ოქტომბრიდან (აღნაგობის ღირებულების გადახდის თარიღი) ყოველ გადაცილებულ დღეზე აღნაგობის საზღაურის – 36 580 ლარის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი საიჯარო ქირის (7 714 ლარი) სრულ გადახდამდე დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო შპს „...“ სახელზე რიცხულ ქონებას (მდებარე – ქ. თბილისი, ... №1, ... პარკი, შენობა №1, სასარგებლო ფართი 310.72 კვ.მ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა აღნაგობის საფასურის – 7 714 ლარის და პირგასამტეხლოს თანხის – 20 000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილებით დადგინდა, რომ აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, უნდა გაცემულიყო შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილი, ფართით 200 კვ.მ. შპს „თ...“ დაევალა აუქციონის ორგანიზების უზრუნველყოფა. ამავე დადგენილებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა აუქციონის დასრულების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომპოვებლის) მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სამშენებლო-გეგმარებითი პროექტის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესების დაცვით.

ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების დანართით განისაზღვრა შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილის, ფართით 200კვ.მ-ის დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის აუქციონის პირობები.

შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით

გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ შეთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საზღაურით 31000 (დღგ-ს გარეშე) ლარით.

16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი, 200კვ.მ მიწის ნაკვეთი დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცა შპს „...“. აღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტით დადგინდა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში „აღნაგობის უფლების მქონეს“ მიეცემოდა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების ერთგვიანი ვადა და დაჯარიმდებოდა წლიური აღნაგობის უფლების საზღაურის 0.1%-ით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.02.2009წ. მიღება-ჩაბარების აქტით შპს „თ...“ ჩააბარა შპს „...“ თავის საწესდებო კაპიტალში რიცხული ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №... – 15.08.2008 ზონა ..., სექტორი ... კვარტალი ..., ნაკვეთი 20/38) დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით 15 წლის ვადით.

ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილებით შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებულ იქნა ქ. თბილისში, ... №1-ში, ... პარკის ტერიტორიაზე არსებული 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი ...) ღირებულებით – 23016000 ლარი და მასზე განთავსებული ქონება საერთო ღირებულებით – 248140 ლარი. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დავალა შპს „თ...“ კაპიტალიდან ამოღებული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ქ. თბილისის მთავრობის 17.12.2010წ. №34.17.1565 დადგენილებით დადგინდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მესაკუთრის ცვლილება ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში და შპს „თ...“ ნაცვლად, მესაკუთრედ განსაზღვრულიყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული.

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 15.03.2011წ. №ბ-12/15921-16 ბრძანებით ვარგისიანად იქნა აღიარებული (მიღებული იქნა ექსპლუატაციაში) ქ. თბი-

ლისში, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ... №1-ში მდებარე მშენებლობადამაჯრებული ობიექტი (სავაჭრო რიგები (პავილიონი)).

საჯარო რეესტრის 08.11.2010წ. №... ამონაწერიტ ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო მეაღნაგედ შპს „...“.

საჯარო რეესტრის 06.06.2013წ. №... ამონაწერიტ ქალაქ თბილისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო შენობა №1 სასარგებლო ფართით 310.72 კვ.მ მითითებულია შპს „...“ აღნაგობის ვადის პერიოდით.

სასამართლოს მითითებით, შპს „...“ მიერ 2009 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №556/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის საზღაურის გადახდის პირობების დარღვევის შედეგად გადასახდელია დავალიანება 7714.00 ლარი, ძირითადი თანხა, ხოლო პირგასამტეხლო – 38 358.58 ლარი.

საქმეზე 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა. მთავარი სხდომის დაინიშნამდე, კერძოდ, 26.11.13წ. მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, სადაც დაეთანხმა დავალიანებას 7714 ლარის ოდენობით, დაეთანხმა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, მაგრამ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და მორიგების პირობებში მიუთითა, რომ სამართლიანობიდან გამომდინარე თანახმა იყო გადაეხადა პირგასამტეხლო 20 000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოემვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული

პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება. კერძოდ, უდავოა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ხელშეკრულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ამდენად, ძირითადი თანხა 7714 ლარი მოპასუხეს უნდა გადაეხადა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილშიც, თუმცა აღნიშნა, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს თანხა შეუსაბამოდ მაღალია. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილია, რომ მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია. ამავ ე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრებოდა გადაუხდელი თანხის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, მხარეებმა არ განსაზღვრეს კონკრეტული თანხა. შეთანხმდნენ, რომ პირგასამტეხლო იქნებოდა გადაუხდელი თანხის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სასამართლომ მოპასუხე მხარის მითითება შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოზე შეამონმა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია, რომ სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შემციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს თანხა, რაც მხარეთა მიერ განსაზღვრული იყო არა კონკრეტული თანხით, არამედ პროცენტულად – გადაუხდელი თანხის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – ყოველდღიური თანხის შეჯამე-

ბის შედეგად მიღებული ჯამი – 38 358.58 (ოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი – შეუსაბამოდ მაღალია. პირგასამტეხლო ბევრად აღემატება ძირითად თანხას.

სასამართლომ გაითვალისწინა პირგასამტეხლოს დანიშნულება და მიზანი, რომ პირგასამტეხლოს თანხამ მოვალეს აგრძნობინოს ვალდებულების შეუსრულებლობის უარყოფითი შედეგი, თუმცა ეს თანხა გამანადგურებლად არ უნდა მოქმედებდეს ვალდებულ პირის ფინანსურ მდგომარეობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს – 20 000 (ოციათასი) ლარამდე, რაც შეესაბამება პირგასამტეხლოს მიზანსაც და დარღვეული ვალდებულების პროპორციულიცაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები და დასკვნები და მიუთითა მათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას და აღნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და მიუთითოს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქალაქო სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ იმგვარად მიიღო გადაწყვეტილება პირგასამტეხ-

ლოს შემცირების თაობაზე, რომ არ დაასაბუთა მოვალის მიერ ვალდებულებების შესრულების ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რატომ ჩაითვალა 38 358.58 ლარი შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ და რა დაედო საფუძვლად პირგასამტეხლოს ამგვარ შემცირებას.

კასატორის განმარტებით, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ძირითადი ვალდებულების მოცულობის და პირგასამტეხლოს თანაფარდობა, ვალდებულების შესრულებლობის ხანგრძლივობა და მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე პირგასამტეხლოს შემცირების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წე-

სების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკავსაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონ-

მდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა, სადავო ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხარედ გამოსვლა თავისთავად არ ადასტურებს დავის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამდენად, ხელშეკრულების მხარის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტორი ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი წარმოადგენს, უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სახეზე იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო ურთიერთობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერძო-სამართლებრივია, სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედება და თუ არა ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების მიხედვით, აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, უნდა გაცემულიყო შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილი, ფართით 200 კვ.მ. შპს „...“ დაევალა აუქციონის ორგანიზების უზრუნველყოფა. ამავე დადგენილებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა აუქციონის დასრულების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებულის (აღნაგობის უფლების მომპოვებლის) მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სამშენებლო-გეგმარებითი პროექტის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული წესების დაცვით. ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილების დანართით განისაზღვრა შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილის, ფართით 200 კვ.მ-ის დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის აუქციონის პირობები.

შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ შეთავაზებული აღნაგობის უფლების წლიური საზღაურით 31000 (დღგ-ს გარეშე) ლარით. 16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც,

ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნა-
წილი, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი დროებით სასყიდლიანი აღნაგო-
ბის უფლებით გადაეცა შპს „...“. ქ. თბილისის მთავრობის
08.10.2010წ. №27.51.1303 დადგენილებით შპს „თ...“ კაპიტალი-
დან ამოღებულ იქნა ქ. თბილისში, ... №1-ში, ... პარკის ტერიტო-
რიაზე არსებული 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი
...) ღირებულებით – 23016000 ლარი და მასზე განთავსებული
ქონება საერთო ღირებულებით – 248140 ლარი. ქ. თბილისის მე-
რიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა შპს „თ...“ კა-
პიტალიდან ამოღებული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი
ერთეულის საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა. ქ. თბი-
ლისის მთავრობის 17.12.2010წ. №34.17.1565 დადგენილებით
დადგინდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მესაკუთრის
ცვლილება ქ. თბილისის მთავრობის 08.10.2010წ. №27.51.1303
დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერ-
თეულის საკუთრებაში გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით
გაფორმებულ ხელშეკრულებებში და შპს „თ...“ ნაცვლად მესა-
კუთრედ განსაზღვრულიყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერ-
თეული.

საჯარო რეესტრის 08.11.2010წ. №... ამონაწერით ქალაქ თბი-
ლისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბი-
ლისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო მეაღნაგედ შპს „...“.
საჯარო რეესტრის 06.06.2013წ. №... ამონაწერით ქალაქ თბი-
ლისში, ... №1-ში, ... პარკის მესაკუთრედ მითითებულია ქ. თბი-
ლისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო შენობა №1 სასარ-
გებლო ფართით 310.72 კვ.მ მითითებულია შპს „...“ აღნაგობის
ვადის პერიოდით.

შპს „...“ მიერ 2009 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №556/
1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის საზღაურის
გადახდის პირობების დარღვევის შედეგად გადასახდელია და-
ვალთანება 7714.00 ლარი (ძირითადი თანხა), ხოლო პირგასამ-
ტეხლო – 38 358.58 ლარი.

მოცემულ დავაში მხარეებს წარმოადგენენ ადმინისტრაცი-
ული ორგანო – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და შპს
„...“, ხოლო დავის საგანია – შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარ-
გებლოდ აღნაგობის საფასურის – 7 714 ლარის და პირგასამ-
ტეხლოს – 38 358,58 ლარის გადახდის დაკისრება და 2013 წლის
25 ოქტომბრიდან (აღნაგობის ღირებულების გადახდის თარი-
ღი) ყოველ გადაცილებულ დღეზე აღნაგობის საზღაურის – 36
580 ლარის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახ-
დელი საიჯარო ქირის (7 714 ლარი) სრულ გადახდამდე დაკის-

რება.

მართალია, სადავო საკითხი ფორმალურად ადმინისტრაციულ დავას ემსგავსება, ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.24.840 დადგენილებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სანარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 06.09.07 წლის №10-54 გადაწყვეტილებისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგინდა აუქციონის ფორმით, დროებითი სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, შპს „თ...“ კაპიტალში რიცხული მიწის ნაკვეთის (ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 11508 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნაწილი, ფართით 200 კვ.მ) გაცემა და შპს „თ...“ 11.02.2009წ. გამართული №2 აუქციონის №1 ოქმით ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დროებით სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“, რის საფუძველზეც 16.02.2009წ. შპს „თ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, თუმცა მნიშვნელოვანია არა დავის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინაარსი და საფუძველები. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირს – შპს „...“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, რომელმაც იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი თავისი უფლებების რეალიზაცია და ითხოვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღნაგობის საფასურსა და პირგასამტეხლოს. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის მიერ შპს „...“ აღნაგობის საფასურისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთ-

ხოვნა არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემდებარეობითი ურთიერთობის არსებობას, ადმინისტრაციული ორგანო მოპასუხისგან მოითხოვს ვალდებულების შესრულებას როგორც აღნაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორი და არა, როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ კერძო პირს, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, მოსარჩელე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მოთხოვნის საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 417-ე (პირგასამტეხლოს ცნება), 418-ე (პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა), 317-ე (ვალდებულების წარმოშობის საფუძველები) მუხლებს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკის 2.3 მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი, მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალა-

ქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შე-საბამისად, მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით წარმო-შობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხ-ლის, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2, 65¹ მუხლებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების კერძო პი-რისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და მისგან გამომ-დინარე ვალდებულების შეუსრულებლობასა და პირგასამტეხ-ლოს დაკისრებას და არა სახელმწიფო ქონების განსახელმწი-ფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამარ-თლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდე-ნად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებული-ცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯა-დობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზ-რებები განსჯადობის შესახებ უსწორია. ასეთ შემთხვევაში სა-სამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმო-ების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სარ-ჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სა-სამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯა-დობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლო-ბას აძლევს სასამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყე-ნოს განსჯადობის საკითხი სადავო სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის ზემდგომ ინსტანცი-ებში განხილვის პროცესშიც. ადმინისტრაციულ სამართალწარ-მოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯა-რო წესრიგის (*ordre public*) შემადგენელ ნაწილად. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგა-ცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მოსაზრე-

ბები, კერძო-სამართლებრივი უფლების დასაბუთება საჯარო კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე არ ცვლის დავის განსჯადობას და არ იწვევს თავისი არსით კერძო-სამართლებრივი დავის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განხილვის საჭიროებას. განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შინაგანი ბუნება და არა მოსარჩელის მოსაზრება. მოსარჩელე განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას. განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადანყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადანყვეტას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13); 03.11.2016წ. განჩინება საქმეზე №ბს-853-845(გ-15)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-

2 ნაწილით, მე-2 და 26.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ბანსჯადობა

ბანჩინება

№ბს-959-950(კ-16)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 11 მარტს შპს „დ...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და შპს „...-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ ქ. ბათუმის მერიისთვის მიწის ნაკვეთის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გამოყენების გამო შპს „...-ისთვის“ 2010 წლის 10 ივნისის მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელ-

შეკრულების შეწყვეტის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წელს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – „ზღვისპირა პარკმა“ გამოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მოწონებული და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კაფე-ბარის მშენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებული კონკურსის პირობების დაკმაყოფილებისა და საუკეთესო შეთავაზების გამო კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. მშენებლობის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ ბათუმში ... №2 და №3-ში გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივი კვების, დასვენებისა და გასართობმა ცენტრმა „...“. კომერციული საქმიანობა სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას და იყო მომგებიანი, შესაბამისადაც, საქართველოს ბიუჯეტში შეიტანებოდა მნიშვნელოვანი გადასახადები. 2010 წელს გასართობ ცენტრ „...“ მეზობლად, პირდაპირ პლაჟზე შპს „...-მა“ უნებართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაიწყო ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენტრმა „...-მა“. უნებართვო მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეტა პლაჟზე თავისუფალი გასასვლელი, დაიხურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომხმარებელს მიანოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიტომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაკარგა ფუნქციონალური დატვირთვა, ვეღარ მიიზიდა მომხმარებელი, რადგანაც კონსტრუქციულ ნაგებობებს შორის დაიბადა არაჯანსაღი კონკურენცია, მიმზიდველი აღმოჩნდა დიდი გასართობი ცენტრი, ხოლო ყველა სხვა ობიექტებმა ითამაშა მეორე ხარისხოვანი როლი. „...-ის“ უნებართვო შენობა-ნაგებობებმა წაართვა მომხმარებელი მეზობლად განთავსებულ ობიექტებს და ეს საზიანოდ აისახა ბრუნვაზე, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლებზეც.

მოსარჩელის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის მიერ საქართველოს რეზიდენტი პირებისათვის გაცხადებული შეთავაზება ითვალისწინებდა და მოითხოვდა ამ ტერიტორიაზე ე.წ. პირის მშენებლობას უკვე დამტკიცებული პროექტით, რომლის მიხედვითაც შავი ზღვის ამ მონაკვეთში (აკვატორიაში) უნდა აშენებულიყო ზღვაში შემავალი სასეირნო ბილიკები ნავმისადგომით (პირსი), რომელზედაც განთავსდებოდა სხვა და სხვა და-

ნიშნულების ობიექტები, მათ შორის კაფე-ბარები. გამოცხადებული პროექტი მოითხოვდა მნიშვნელოვან დანახარჯებს, რადგანაც კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი უნდა განთავსებულიყო უშუალოდ ზღვაში და არა პლაჟზე. საამისო სახსრების უქონლობის გამო ქართველი მენარმეები (რეზიდენტები) ვერ დათანხმდნენ წინადადებაზე, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ასეთი მოთხოვნები უცხო ქვეყნის პირებს (არარეზიდენტებს) არ წარედგინებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ვინაიდან შპს „...-ის“ მიერ აგებული ობიექტი უკანონოა, შესაბამისად, მისი შემოსავალიც უკანონოა, ქ.ბათუმის მერიას კი გააჩნია აღნიშნული უკანონობის აღკვეთის უნარი და სამართლებრივი შესაძლებლობა, თუმცა იგი არ იყენებს მას, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერია უნდა დავალიდებულდეს შეუწყვიტოს მოპასუხე შპს „...-ს“ მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და აღკვეთოს უკანონო ფართით სარგებლობა, რომლის უკანონო სარგებლობით მას ადგება ზიანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „დ...“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ქ. ბათუმის მერიას დაევალა შეეწყვიტა შპს „...-ისთვის“ 2010 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წელს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „ზღვისპირა პარკმა“ გამოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მოწონებული და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კაფე-ბარის მშენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებული იქნა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „დ...“ იჯარით გადაეცა ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, ... ქუჩის გაგრძელებაზე მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებული კაფე-ბარები, თითოეული ფაქტიური სასარგებლო ფართით 400 კვ.მეტრი. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 49 წლით, საიჯარო ქირის ოდენობა კი პირველი 5 წლის განმავლობაში შეადგენდა 20 000 ლარს, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30 000 ლარს, ხოლო შემდგომ წლებში – 40 000 ლარს. მშენებლო-

ბის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივი კვების, დასვენებისა და გასართობმა ცენტრმა „...“. 2009 წლის 6 აპრილს ქ. ბათუმის მერიას და შპს „დ...“ შორის გაფორმებული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ცვლილება შევიდა 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებას ეწოდა „აღნაგობის ხელშეკრულება“, ხელშეკრულების ტექსტში მხარედ (მინის ნაკვეთის მესაკუთრედ) სსიპ „ზღვისპირა პარკის“ ნაცვლად მიეთითა ქ. ბათუმის მერია. აღნიშნული ხელშეკრულებით მინის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის ვადად განისაზღვრა 49 წელი და ხელშეკრულება ძალაშია 2055 წლის 9 ივნისამდე. აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის სარგებლობის საზღაური განისაზღვრა პირველი ხუთი წლის განმავლობაში 20000 ლარით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30000 ლარით, ხოლო შემდეგ წლებში – 40 000 ლარით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მინის ნაკვეთის გადაცემის ხელშეკრულება. აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-ს“ სარგებლობაში გადაეცა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე სექტორ №...-ში მდებარე მინის ნაკვეთი, ფართობით 7391 კვ.მ (საკადასტრო კოდი: ...). აღნაგობის საზღაურის მთლიანი ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს ყოველწლიურად 15 000 ლარს. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იქნა 29 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების 4.3.3. პუნქტის თანახმად, აღნაგობის უფლების მქონე პირს უფლება ჰქონდა არსებული ნორმების დაცვით დაემონტაჟებინა აღნაგობის უფლებით გადაცემულ მინის ნაკვეთზე ყველა აუცილებელი ტექნიკური და სხვა მოწყობილობა, რაც აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის მიზნობრივად გამოყენების მიზნით მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამავდროულად ხელშეკრულების 4.4.2. პუნქტით აღნაგობის უფლების მქონე პირმა იკისრა ვალდებულება არ განეხორციელებინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება აღნაგობის უფლებით აღებული ქონების მიმართ; ასევე აენაზღაურებინა მესაკუთრისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის ან სხვა ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი. ხელშეკრულების 4.4.8.9. პუნქტში მითითებულია, რომ „აღნაგობის უფლების მქონეს უფლება აქვს აღნაგობის უფლებით გადაცემულ ტე-

რიტორიაზე განათავსოს (ააშენოს) თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკით ან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებისა“ და თვითმმართველი ქალაქი – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქმშენებლობითი) სხვა დოკუმენტაციის წესის“ შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დასაშვებ სახეობას მიკუთვნებული ობიექტები იმდაგვარად, რომ აღნიშნულით არ შემცირდეს 4.4.8.2. პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიის ფუნქციური დანიშნულება“. ამავე ხელშეკრულების 4.4.9.2. პუნქტის თანახმად კი აღნაგობის უფლების მქონის ვალდებულებას წარმოადგენდა საკუთარი ხარჯებითა და საშუალებებით უზრუნველყო სააუქციონო პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედებისათვის დაწესებული ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება. აღნაგობის ხელშეკრულების მე-9 პუნქტით დადგინდნო იქნა ხელშეკრულების ვადამდე გაუქმების პირობები. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, თუკი აღნაგობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა.

ამასთან, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალების, მხარეთა განმარტებების და შპს „და...“ 2015 წლის 20 აპრილის დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს „...-ზე“ 2010 წლის 10 ივნისის აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 7391 კვ.მეტრი ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფაქტობრივად მდებარეობს შპს „და...“ აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემული და ამჟამად მის მფლობელობაში არსებული ობიექტების (კაფე-ბარი „...“) წინ ზღვაზე გასასვლელზე, პირდაპირ ზღვის პირას, სადაც შპს „...-ის“ მიერ მოწყობილი იქნა პირსი, ორ მხარეს კაფე-ბარი და სავაჭრო ობიექტები. აღნიშნული ობიექტების მოწყობამ კი შეზღუდა შპს „და...“ ობიექტებიდან ზღვის სანაპიროზე დამსვენებელთა პირდაპირი მოხვედრის შესაძლებლობა, გააუარესა შპს „და...“ კაფე-ბარი „...“ ზღვის ხედი, ნაცვლად ზღვისა აღნიშნული კაფე-ბარებიდან დამსვენებელი ხედავს მხოლოდ შპს „...-ის“ მიერ აგებული ობიექტების სახურავს.

შპს „და...“ დასკვნის თანახმად, შპს „...-ის“ მიერ განხორციელებულმა განაშენიანებებმა პირდაპირ იმოქმედა შპს „დ...“ მიერ აღნაგობის უფლებით აღებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ქ. ბათუმის ცენტრალურ ბულვარში მდებარე №2 და №3 კაფე-ბარების (ე.წ...) საბაზრო ღირებულებაზე, რადგან აღნიშნული ობიექტების ირგვლივ შეიქმნა არაკონკურენტუნარიანი გარემო, რამაც გააუარესა მათი საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა. ზღვაზე გასასვლელზე აგებულმა კაფე-ბარებმა და სხვა ობიექტებმა შეზღუდეს ზღვის პირდაპირი ხედვის საშუალება, რაც დასკვნის თანახმად ერთ-ერთ შემზღუდავ გარემოებად ითვლება. ამასთან, სასამართლომ ამავე აუდიტის დასკვნის საფუძველზე გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზეც, რომ ქ. ბათუმის მერიასთან გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებებით შპს „...“ ჩაყენებულია უპირატეს მდგომარეობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ შპს „დ...“ 1 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთში სასყიდლის სახით იხდის წელიწადში 37,40 ლარს, 2016 წლიდან კი ეს გადასახადი გაიზრდება 49,90 ლარამდე, ხოლო შპს „...“ აღნაგობის მთელი პერიოდის განმავლობაში წელიწადში იხდის 1 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთში მხოლოდ 2,03 ლარს. შესაბამისად, აღნაგობის უფლებით აღებული მიწის ნაკვეთის დიდი სიდიდე და დაბალი გადასახადი უკეთეს უპირატეს პირობებში აყენებს შპს „...-ს“ და მას შეუძლია კონკურენტის მიმართ გამოიყენოს დემპინგური ფასები. შესაბამისად, სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მტკიცება, რომ სწორედ აღნიშნულის გამო მკვეთრად მცირდება „...“ ფუნქციონირების შედეგად მისაღები წმინდა საოპერაციო შემოსავალი, რაც შესაბამისად ამცირებს მის საბაზო ღირებულებას, რითაც აშკარა ზიანს განიცდის მოსარჩელე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...-მა“ 2009 წლის 10 ივნისის აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, ზღვისპირა ბულვარში უნებართვოდ განახორციელა ზ/აღნიშნული სადავო ობიექტების მშენებლობა, რომლის ფუნქციონირებითაც აშკარა ზიანი ადგება მოსარჩელეს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მის მიერ კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა მოპოვებული სათანადო ნებართვები. აღნიშნული დასტურდება ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 16 ოქტომბერს მიღებული №227 დადგენილებით, რომლის თანახმადაც შპს „...“ ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში უნებართვო მშენებლობის წარმოების გამო დაჯარიმებული იქნა 3000 ლარით. ამავე დადგენილებით გადაწყდა შპს „...-ის“ მიერ ზღვისპირა ბულვარში გან-

ხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და უნებართვოდ აშენებული ობიექტის დემონტაჟი. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დადგენილება ამჟამად აღსრულებული არ არის და შპს „...-ის“ მიერ დღემდე გრძელდება სადავო უნებართვოდ აშენებული ობიექტების ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაჯარიმების და სათანადო ნებართვის გარეშე აგებული ნაგებობის დემონტაჟის შესახებ გამოტანილი დადგენილების მიღების შემდეგ შპს „...-მა“ დაიწყო ზ/აღნიშნული საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის ნებართვის მოპოვების სამუშაოები, რისთვისაც მან 2014 წლის 10 თებერვალს მიმართა ქ. ბათუმის მერიას და მოითხოვა ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რაზედაც ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის №3/330 ბრძანებით უარი ეთქვა. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სწორედ აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარის თქმის დადგენილების კანონიერებაზე მიმდინარეობს ამჟამად ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...-ს“ შორის სასამართლო დავა, რომელიც ამ ეტაპისათვის დასრულებული არ არის. თუმცა მხარეებს შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ შპს „...-ს“ ობიექტი სათანადო ნებართვის გარეშე აქვს აშენებული და იგი ამჟამად ისე ფუნქციონირებს.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე შპს „...-ის“ მიერ სათანადო ნებართვის გარეშე აშენებული საზოგადოებრივი ობიექტის ფუნქციონირებით მას ადგება მნიშვნელოვანი ზიანი, ამასთან, შპს „...-ის“ მიერ დარღვეული იქნა აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და მის მიერ აღნაგობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა, რაც ქ.ბათუმის მერიასა და შპს „...-ს“ შორის 2010 წლის 10 ივნისს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების 9.1.3.2. პუნქტის თანახმად წარმოადგენს აღნაგობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის საფუძველს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ქ. ბათუმის მერიის მიერ დღემდე არ მომხდარა შპს „...-თან“ ხელშეკრულების შეწყვეტა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. უფლების სასამართლო წესით დაცვის შე-

საძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. ამ ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას. უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს მოდავე მხარეების კანონიერ ინტერესებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით. ამავე ნორმის შესამე ნაწილი კი ადგენს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამომეებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მოთხოვნების მართებულობას.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკუ-

რენციის განვითარებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1 მუხლის თანახმად კი მხოლოდ ვალდებულების ძალით არის კრედიტორი უფლებამოსილი მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ეფუძნება დისპოზიციურობის პრინციპს, რაც გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. აღნიშნული პრინციპის გამოხატულებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით აღიარებულია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება სარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეების ვალდებულებას წარმოადგინონ სარჩელში ან შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან თავიანთი პოზიციის დამაჯერებელ შინაგან რწმენას. შესაბამისად, გადაწყვეტილება იქნება იმ შინაარსის,

რა შინაარსის გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობას შექმნის მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, იმპერატიულად არის დადგენილი, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასამართლო განმარტავს, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მტკიცებულების სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სასამართლომ შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს ქ. ბათუმის მერიამ და შპს „...-მა“, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოთხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის და შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივრები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების კანონიერება. სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობაა, რის გამოც წარმოდგენილი სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...-ის“ და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება; შპს „დ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც, რომლის მიხედვითაც ხელშემკვრელი მხარეების გარდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერებასთან დაკავშირებით დავის უფლება გააჩნია ასე-

ვე ისეთ პირს, რომელსაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება უზღუდავს უფლებებს ან აკისრებს რაიმე ვალდებულებას, ანუ ცალსახაა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მესამე პირის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა სახეზე უნდა იყოს მისი, როგორც დაინტერესებული მხარის კანონიერი უფლების შეზღუდვის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაინტერესებული მხარის ცნება უკავშირდება პირის უფლებას – წარმოადგენილ იქნეს მხარედ სასამართლოში. დაინტერესებულ მხარედ ითვლება ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც უშუალო (ინდივიდუალურ) გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, შესაბამისად, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს დაამტკიცოს მისი უფლების დარღვევის ფაქტი, დავაში მისი უფლებადამცავი ინტერესი და ამასთან, მან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესების სფერო სწორედ მიღებული ზომების შედეგად დაირღვა. გარდა ამისა, მოსარჩელის უფლება და ინტერესი კანონით უნდა იყოს დაცული ანუ სახეზე უნდა იყოს ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესზე. ამასთან, ინტერესის არსებობა გულისხმობს მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს თეორიული ინტერესის დამკვიდრების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ კვლავ მიუთითა, რომ სარჩელის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული, კანონიერი დაინტერესება. კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის აღძვრის საბაზის ფაქტები (უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება). კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადასტურებას. პალატამ დამატებით განმარტა, რომ ინტერესის არსებობის საკითხს წყვეტს სასამართლო. ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მხოლოდ მოსარჩელის განცხადება. მისი არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს უფლების დარღვევა ან დარღვევის საშიშროება, რომლებზედაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს. ამდენად, სარჩელი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს მხოლოდ იმ პირმა, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა გასაჩივრებული ხელშეკრულებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემ-

თხვევაში მოსარჩელე მისი კანონიერი უფლებების შეზღუდვის მოტივად უთითებს იმ გარემოებას, რომ 2010 წელს გასართობ ცენტრ „...“ მეზობლად, პირდაპირ პლაჟზე შპს „...-მა“ უნებართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაიწყო ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენტრმა „...-მა“. უნებართვო მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეტა პლაჟზე თავისუფალი გასასვლელი, დაიხურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომხმარებელს მიაწოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიტომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაუკარგა ფუნქციონალური დატვირთვა, ველარ მიიზიდა მომხმარებელი, რაც საზიანოდ აისახა ბრუნვაზე. ამასთან, უთითებდა, რომ ქალაქ ბათუმის მერიის მხრიდან შპს „დ...“ მიქირავებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ღირებულება საკმაოდ აღემატებოდა შპს „...-ის“ მხრიდან ასანაზღაურებელ საიჯარო ვალდებულებას, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადებას ანგარიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. სადავო ხელშეკრულების დროს მოქმედი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება დაანოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა შპს „...-ის“ მიერ იმავე პროფილის საქმიანობის წარმოების შედეგად შპს „დ...“ საქმიანობაზე ფინანსური ზიანის მიყენების მოტივით სადავო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და აღნიშნა, რომ ამგვარი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოებს შორის კონკურენციის შედეგად ზიანის არსებობა და ამ მიმართებით საქმეში წარ-

მოდგენილი აუდიტის დასკვნა არ ქმნის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, რაც იმთავითვე შპს „...-ის“ საქმიანობის აკრძალვის ტოლფასია. პირიქით, თუკი მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ „ზღვისპირა პარკთან“ (უფლებამონაცვლე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი) 2006 წელს დადებულ ხელშეკრულებასთან შედარებით აპელანტთან 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულება უფრო შეღავათიან პირობებს ითვალისწინებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და არა სხვა პირთან დადებული იგივე პროფილის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი ასევე ვერ გახდება შპს „...-ის“ მიერ აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვის არარსებობა, რადგანაც როგორც საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, მითითებული ნაგებობის კანონიერ ჩარჩოში მოქცევის თვალსაზრისით მხარეთა შორის სასამართლოში მიმდინარეობს დავა და ამ ეტაპისთვის იგი დასრულებული არ არის. ამ დავის ქალაქ ბათუმის პერიის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისედაც მიღებულია გადაწყვეტილება უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის შესახებ, რაც დაექვემდებარება აღსრულებას. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც წარმოებული მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა, ამ მოტივით ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება (მუხლი 63.1.) უნებართვო მშენებლობის წარმოების მიუხედავად ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, რა მიმართებით დაკისრებული ჯარიმები შპს „...-ს“ გადახდილი აქვს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საწინააღმდეგოდ სააპელა-

ციო სასამართლომ შეცვალა დავის საგანი და მსჯელობა იქონია იმაზე, რასაც მხარე არ მოითხოვდა. კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვდა ქ. ბათუმის მერიისთვის შპს „...-თან“ 2010 წლის 10 ივნისს დადებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულებას; ხოლო სააპელაციო სასამართლომ დავის განხილვისას მიიჩნია, რომ დავის საგანია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

კასატორი მიუთითებს, რომ დავას პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილავდა სამოქალაქო კოლეგია, რა დროსაც მოსარჩელე დასაბუთებაში შეზღუდული იყო სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. ამასთან, მოპასუხეებს არ განუცხადებიათ პრეტენზია დავის სამოქალაქო წესით განხილვაზე (განსჯადობაზე) პირველ ინსტანციაში და არ გამოუთქვამთ ასეთი პრეტენზია არც სააპელაციო ინსტანციაში საჩივრის განხილვის სტადიაზე. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა ასეთზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამბობს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამონმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით, რაც დასაშვებია თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული. სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით შეამონმა განსჯადობა მაშინ, როდესაც მოპასუხე ამას არ მოითხოვდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების შეცვლისას მსჯელობა იქონია ისეთ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ საბუთდებოდა და ამ ნორმათა არასწორ გამოყენებას არც აპელანტი მიანიშნებდა.

კასატორის განმარტებით, შპს „დ...“ თავდაპირველად სარჩელი აღძრა ადმინისტრაციული წესით, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იგი გადაამისამართა სამოქალაქო კოლეგიაში. ადმინისტრაციული დარგიდან სამოქალაქო დარგში მოსარჩელეს შეეზღუდა სამარ-

თლებრივი უნარი დაესაბუთებინა თავისი მოთხოვნა ადმინისტრაციული ნორმებით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ თავისი ინიციატივით და 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევით, საჩივრის განხილვის სტადიაზე, საქმე გადასცა ადმინისტრაციულ პალატას. კასატორის მოსაზრებით, ამგვარი დარღვევის სასამართლებრივი შედეგი უნდა იყოს განსჯადობის დარღვევით განხილული დავის განსჯადობის წესით განხილვა, ე.ი. პირველ ინსტანციაში დაბრუნება. ნაცვლად ამისა, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ განიხილა სამოქალაქო საქმის სააპელაციო საჩივარი და გადაწყვიტა იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებ-

ლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორ-

განო. თუმცა, სადავო ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხარედ გამოსვლა თავისთავად არ ადასტურებს დავის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამდენად, ხელშეკრულების მხარის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი არ არის საკმარისი ფაქტორი ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი წარმოადგენს, უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სახეზე იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო ურთიერთობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერძო-სამართლებრივია, სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედებ-

და თუ არა ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს შპს „დ...“ მიერ სადავოდ ქცეული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2006 წელს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „ზღვისპირა პარკმა“ გამოაცხადა კონკურსი ბათუმის ზღვისპირა პარკში მონონებული და დადგენილი წესით დამტკიცებული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ორი იდენტური ახალი კაფე-ბარის მშენებლობისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრული განახლების მოთხოვნით. გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა შპს „დ...“. 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ იქნა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „დ...“ იჯარით გადაეცა ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, ... ქუჩის გაგრძელებაზე მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებული კაფე-ბარები, თითოეული ფაქტიური სასარგებლო ფართით 400 კვ.მეტრი. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 49 წლით, საიჯარო ქირის ოდენობა კი პირველი 5 წლის განმავლობაში შეადგენდა 20 000 ლარს, მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30 000 ლარს, ხოლო შემდგომ წლებში – 40 000 ლარს. მშენებლობის დასრულებისა და ინფრასტრუქტურის სრული განახლების შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივი კვების, დასვენებისა და გასართობმა ცენტრმა „...“. 2009 წლის 6 აპრილს ქ. ბათუმის მერიას და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ცვლილება შევიდა 2006 წლის 9 ივნისს სსიპ „ზღვისპირა პარკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებას ეწოდა „აღნაგობის ხელშეკრულება“, ხელშეკრულების ტექსტში მხარედ (მინის ნაკვეთის მესაკუთრედ) სსიპ „ზღვისპირა პარკის“ ნაცვლად მიეთითა ქ. ბათუმის მერია. აღნიშნული ხელშეკრულებით მინის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის ვადად განისაზღვრა 49 წელი და ხელშეკრულება ძალაშია 2055 წლის 9 ივნისამდე. აღნაგობის უფლებით გადაცემული მინის ნაკვეთის სარგებლობის საზღაური განისაზღვრა პირველი 5 წლის განმავლობაში 20000 ლარით,

მომდევნო 5 წლის განმავლობაში – 30000 ლარით, ხოლო შემდეგ წლებში – 40 000 ლარით.

ასევე დადგინოდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანებისა და „ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში №... სექტორზე არსებული 7391 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „...-ისთვის“ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მერის 2010 წლის 18 მაისის №220 ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება. აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-ს“ სარგებლობაში გადაეცა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორიაზე სექტორ №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, ფართობით 7391 კვ.მ (საკადასტრო კოდი: ...). აღნაგობის საზღაურის მთლიანი ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს ყოველწლიურად 15 000 ლარს.

მოცემულ დავაში მხარეებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანო – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, შპს „დ...“ და შპს „...“, ხოლო დავის საგანია – ქ. ბათუმის მერიისთვის 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-თან“ გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალაპორება. მოსარჩელე – შპს „დ...“ დავის საგნისადმი კანონიერ ინტერესს ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ 2010 წელს გასართობ ცენტრ „...“ მეზობლად, პირდაპირ პლაჟზე შპს „...-მა“ უნებართვოდ ააშენა კონსტრუქციები და დაიწყო ფუნქციონირება იდენტური პროფილის მრავალფუნქციურმა გასართობმა ცენტრმა „...-მა“. უნებართვოდ მრავალფუნქციური გასართობი ცენტრი განთავსდა 7392 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც დაუკარგა შპს „დ...“ გასართობ ობიექტს ფუნქციონალური დატვირთვა: ჩაიკეტა პლაჟზე თავისუფალი გასასვლელი, დაიხურა ზღვის ხედი, სანებართვო მოთხოვნების შეუსრულებლობის გზით მომხმარებელს მიაწოდა მომსახურება ნაკლებ ფასად და უკეთეს ადგილზე. ამიტომ, შპს „დ...“ გასართობმა ცენტრმა დაკარგა

ფუნქციონალური დატვირთვა, ველარ მიიზიდა მომხმარებელი, რაც საზიანოდ აისახა ბრუნვაზე. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის მხრიდან შპს „დ...“ მიქირავებული მიწის ნაკვეთის საიჯარო ღირებულება საკმაოდ აღემატებოდა შპს „...-ის“ მხრიდან ასანაზღაურებელ საიჯარო ვალდებულებას, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სადავო საკითხი ფორმალურად ადმინისტრაციულ დავას ემსგავსება, „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანებისა და „ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში №... სექტორზე არსებული 7391 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „...-ისთვის“ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მერიის 2010 წლის 18 მაისის №220 ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-სა“ და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება, თუმცა მნიშვნელოვანია არა დავის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინაარსი და საფუძველები. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქ. ბათუმის მერიისთვის 2010 წლის 10 ივნისს შპს „...-თან“ გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულ პირს – შპს „...-ს“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა კერძო-სამართლებრივი უფლების რეალიზაცია და კერ-

ძო პირს სარგებლობაში გადასცა ქონება. თავის მხრივ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-მა“ იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. განსახილველ შემთხვევაში, ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს „...-თან“ 2010 წლის 10 ივნისს მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება არ გულისხმობს მათ შორის ვერტიკალური, ქვემდებარებითი ურთიერთობის არსებობას, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო არ გვევლინება როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

სადავო ხელშეკრულების კერძო-სამართლებრივ ბუნებას ასევე არ ცვლის ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...-ს“ შორის 2010 წლის 10 ივნისს გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით აღნაგობის უფლების მქონე პირის – შპს „...-ის“ ვალდებულებად განისაზღვრა აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, ზღვის შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებით, საკუთარი ხარჯითა და საშუალებებით, პირის აშენება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ხელშეკრულებით აღნიშნული პირობის განსაზღვრა თავად აღნაგობის უფლების შინაარსიდან გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233.1 მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვნის, გაქირავების უფლება) და არ ადასტურებს ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივ მიზნებს. აღნიშნული პირობის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, სადაც ადმინისტრაციული ორგანო – ქ. ბათუმის მერია არ გვევლინება როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი.

ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა

აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. სადავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ – ქ. ბათუმის მერიამ კერძო პირს, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი, მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2, 65¹ მუხლებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების კერძო პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და არა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის წესების დაცვით განიხილა მოცემული სამოქალაქო დავა. საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მსჯელობს მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეულ საკითხებზე, რომელიც სარჩელის ძირითად მოტივად მის მიმართ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევას მიუთითებდა. ხოლო სააპელაციო სასამართლო, რომელმაც საქმე ადმინისტრაციული წესით განიხი-

ლა, საერთოდ არ მსჯელობს სარჩელის აღნიშნულ მოტივებზე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდენად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უსწორია. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯადობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყენოს განსჯადობის საკითხი სადავო სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის პროცესშიც. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ord public) შემადგენელ ნაწილად. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მოსაზრებები, კერძო-სამართლებრივი უფლების დასაბუთება საჯარო კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე არ ცვლის დავის განსჯადობას და არ იწვევს თავისი არსით კერძო-სამართლებრივი დავის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განხილვის საჭიროებას. განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შინაგანი ბუნება და არა მოსარჩელის მოსაზრება. მოსარჩელე განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას. განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე

აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13); 03.11.2016წ. განჩინება საქმეზე №ბს-853-845(გ-15); 29.06.2017წ. განჩინება საქმეზე №73-72(კ-17)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „დ...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასამართლები (არაკომერციული) პირის
დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტისა და
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დავის
განსჯადობა**

განჩინება

№ბს-1-1(გ-17)

21 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ი. ს-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

24.08.2016წ. ი. ს-მა სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის 03.08.2016წ. №445-პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლიდან მუშაობდა ა(ა)იპ – „...“ დირექტორად. ი. ს-ის განმარტებით, ბოლო დროს ამკარა გახდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას სურდა მისი სამსახურიდან გათავისუფლება და ამისთვის ეძებდა მიზეზებს. 2016 წლის აპრილში შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა „...“ შემოწმება. შემოწმების აქტში აღინიშნა, რომ ბენეფიციარებისათვის განკუთვნილი ხორცპროდუქტები მზადდებოდა საკვების გაცემის წინა დღეს, ასევე არ წარმოებდა საკვების გაცემის ყურნალები, 7 დღის განმავლობაში გარდაცვლილ პირზე გაცემული იყო საკვები, არ არსებობდა პურის მიღების აღრიცხვის ყურნალი, ამასთანავე, დარჩენილი საკვების განადგურებასა და გაცემაზე არ დგებოდა სათანადო აქტები. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ წაყენებული შენიშვნები არ შეესაბამებო-

და სინამდვილეს. მისი განმარტებით, ვერ დადასტურდა, რომ ხორცპროდუქტები მზადდებოდა საკვების გაცემის წინა დღეს. „...“ წესდებით არ იყო გათვალისწინებული ზონაზე გატანილი საკვების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი. გარდაცვლილ ბენეფიციართან დაკავშირებულ შემთხვევაზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასზე საკვები არ გაცემულა. მოსარჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ დარჩენილი საკვების განადგურება არ ხდებოდა და იგი გამგეობის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ურიგდებოდა ბენეფიციარებსა და „...“ ჩასარიცხ პირთა სარეზერვო სიაში მყოფ პირებს. სადავო ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია მის მიერ „...“ წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, მაგრამ არ არის მითითებული წესდებით გათვალისწინებული კონკრეტულად რომელი ვალდებულება იქნა დარღვეული. ბრძანებაში არასწორადაა ასევე მითითებული ბრძანების გასაჩივრების შესაძლო სასამართლო. ი. ს-მა აღნიშნა, რომ საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა 60 დღის განმავლობაში და, შესაბამისად, მის შრომისუუნარობას არ გადაუჭარბებია კანონით განსაზღვრული ვადისათვის, როგორც ეს სადავო ბრძანებაშია მითითებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის 03.08.2016წ. №445-პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თელავის რაიონული სასამართლოს 29.09.2016წ. განჩინებით ი. ს-ის სარჩელი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაექვემდებარა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

სასამართლომ მიუთითა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნებისათვის მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული ურთიერთობები უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ უფლების დარღვევა თავისი არსით განპირობებული უნდა იყოს საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში ახმეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდი-

ნარეობს.

თელავის რაიონული სასამართლოს 13.12.2016წ. განჩინებით ი. ს-ის სარჩელი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, საჯარო ამოცანების მისაღწევად, მინიჭებული აქვს საქმიანობის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმების გამოყენების უფლებამოსილება. ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სასამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები. ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-20 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და გახდეს მისი წევრი. სამოქალაქო კოდექსის 35.4 მუხლის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები. სასამართლომ განმარტა, რომ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირთან დაკავშირებით ყველა საკითხზე, მათ შორის დირექტორების დანიშვნა-გამოწვევის, შრომის ხელშეკრულების დადება-შეწყვეტის, ანგარიშის დამტკიცების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, მოცემულ შემთხვევაში ქალაქ ახმეტის მუნიციპალიტეტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ სადავო სამართალურთიერთობაში მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, არამედ იგი წარმოადგენილია, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებელი, რომელიც ა(ა)იპ-ის დირექტორის დანიშვნას და გამოწვევას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრძანება, ი. ს-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და სადავო სამართალურთიერთობა არ გამოძინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამარ-

თლის კანონმდებლობიდან, რის გამოც დავა ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი. ს-ის სარჩელი ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება საგნობრივი განსჯადობის საკითხს.

განსახილველ დავაში ი. ს-ი სასარჩელო განცხადებით ითხოვს მისი განთავისუფლების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის 03.08.2016წ. №445-პ/მ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობაშიც. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა.

ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო ბრძანების გამოცე-

მის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად (იხ. სუს დიდი პალატის 10.07.2007წ. განჩინება საქმეზე №ბს-132-123(კ-07)). სადავო ბრძანებაში ი. ს-ის გათავისუფლების საფუძველად ორგანული კანონის შრომის კოდექსის ნორმებია მითითებული (37.1 მუხლის „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები), ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლიდან.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ი. ს-ი იყო „...“ დირექტორი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, ორგანიზაცია, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა და მისი ფუნქციონირების ძირითადი მამოტივირებელი ფაქტორი არ არის მატერიალური მოგების მიღება, არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართვეობის კოდექსის“ 20.1 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და გახდეს მისი წევრი. საქმეში დაცული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „...“ წესდების თანახმად, „...“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად და ეკონომიურად გაჭირვებულ პირთა დახმარება და ღირსეული პირობების შექმნა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8.1 მუხლის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო პირების მიმართ. ამავე კოდექსის 35.4 მუხლის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვე-

ტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ-ის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტისა და სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების მარეგულირებელი ნორმები მოცულია კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით და, შესაბამისად, სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველი კერძოსამართლებრივია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განხილულ უნდა იქნეს თელავის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. ს-ის სარჩელი მოპასუხე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ხელშეკრულების დადებასთან,
შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული
დავების განსჯადობა**

განჩინება

№ბს-893-885(გ-16)

21 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თ. ც-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ც-მა 21.07.16წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის თ. ც-ის სასარგებლოდ 2015 წლის სექტემბრის თვის ხელფასისა და მრავალშვილიანობის სახელფასო დანამატის ანაზღაურების დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2015 წლის მარტიდან 2015 წლის სექტემბრის ჩათვლით ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა შტატგარეშე მოსამსახურედ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს ... სამსახურის ... თანამდებობაზე და ყოველი თვის 20 რიცხვში ერიცხებოდა ხელფასი 800 ლარის ოდენობით და მრავალშვილიანობის სახელფასო დანამატი 500 ლარის ოდენობით. მოსარჩელე 16.09.15წ. დააკავეს და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 14.03.16წ. №638995 ბრძანებით მას შეუწყდა შტატგარეშე შრომითი ხელშეკრულება 2015 წლის 16 სექტემბრიდან. თავისუფლების აღკვეთის გა-

მო, მოსარჩელეს სექტემბრის თვის ხელფასის აღების შესაძლებლობა არ ჰქონია. თ. ც-ი უთითებს, რომ დავალიანების არსებობის ფაქტს არც მოპასუხე უარყოფს, თუმცა, ვინაიდან სახელფასო დავალიანება არის 2015 წლის პერიოდის დავალიანება, აღნიშნული თანხის ანაზღაურებას მოპასუხე შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.07.16წ. განჩინებით თ. ც-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სამოქალაქო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სახელმწიფო საქვეყნულებო დაწესებულება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, შესაბამისად, განსახილველი დავა საჯაროსამართლებრივი ხასიათისაა და საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რადგან თ. ც-ი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვს სასაზღვრო პოლიციისაგან.

დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისაგან მოითხოვა ხელზე მისაღები თანხის – 650 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.11.16წ. განჩინებით თ. ც-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის მოსარჩელის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, ანუ უფლების დარღვევა თავისი არსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმების დარღვევით. ამდენად, სახეზე უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგანი. სასამართლომ დადგენილად მიჩნია, რომ თ. ც-ის თანამდებობაზე დანიშვნის საფუძველი გახდა სასაზღვრო პოლიციის უფროსის 02.09.15წ. №1928466 ბრძანებით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ხოლო დავის საგნის ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო სამართლის ნორმებით განსჯად კატეგორიად შეფასებისთვის განსაზღვრელია, რა სახით იქნა პირი დანიშნული ადმინისტრაცი-

ულ ორგანოში – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თუ სამოქალაქო-სამართლებრივი წესით. დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ ბრძანება თ. ც-ის გათავისუფლების შესახებ გამოცემულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ პუნქტზე დაყრდნობით, შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობაში სახეზე არ არის საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგანი. ამდენად, არსებული მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, დავის გადაწყვეტა კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან, თ. ც-ის სასაზღვრო პოლიციის სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე მიღებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. ამდენად, სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ თ. ც-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 2.3 მუხლის მიხედვით, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, უკეთეს ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ად-

მინისტრაციული კოდექსით ან სხვა საჯარო სამართლის წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 21.06.2006წ. №786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ 2.1 მუხლის თანახმად, სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სპეციალური სამსახური სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით. თავის მხრივ, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოდ. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე – მოპასუხე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ, სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს – განსჯადობის საკითხის გადამწყვეტისას უნდა დადგინდეს იმ სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება, რომლიდანაც წარმოშობილია მოთხოვნა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს ... სამსახურის ... ფუნქციამოვალეობების შემსრულებლად, შტატგარეშე მოსამსახურედ დასაქმებული იყო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა, რადგან ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულება (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შრომითი ურთიერთობა შესაძლოა იყოს როგორც კერძო-სამართლებრივი, ასევე საჯარო-სამართლებრივი. საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესირგებელი ზოგადი ნორმატიული აქტი არის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ადგენს საჯარო

სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, ანეს-რიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი აღნიშნული კანონი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო სამსახურში მიღებას ითვალისწინებდა მხოლოდ დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებთან მიმართებით (მე-7, მე-8 მუხ.), მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა კი უნდა გაფორმებულიყო ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით (26.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სამსახურში მიღებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შტატგარეშე მოსამსახურედ, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გამოორიცხავს თ. ც-ის საჯარო მოხელედ მიჩნევის შესაძლებლობას, რადგან შტატგარეშე მოსამსახურე შესაძლოა ენეოდეს საჯარო სამსახურს (მე-5 მუხ. „დ“ ქვ.პ.), შესაბამისად, მასთან დადებული ხელშეკრულება შესაძლოა იყოს ადმინისტრაციული.

სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებაში (1.1 მუხ.), სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულებებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად (2.2 მუხ., „ბ“ ქვ.პ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებაში, მათ შორის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.2 მუხლში ჩამოთვლილ ორგანოებში დასაქმებული ყველა პირი ავტომატურად არ მიიჩნევა საჯარო მოხელედ, პირის მოხელედ მიჩნევისათვის უნდა დადგინდეს მისი სამსახურში მიღების სამართლებრივი საფუძვლები და მის მიერ განხორციელებული უფლებამოვალეობების შინაარსი, რადგან დანესებულებაში შესაძლოა დასაქმებული იყოს არაერთი ტექნიკური მუშაკი ან სხვა პირი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას დანესებულების საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებაში. კანონის 2.2 მუხლში ჩამოთვლილ დანესებულებებში დასაქმებული ყველა პირის საჯარო მოხელედ მიჩნევა გამოიწვევს საჯარო ფუნქციების არმქონე პირებზე, მათ შორის ტექნიკურ მუშაკებზე, საჯარო მოხელისათვის დანესებული შეზღუდვებისა და ვალდებულებების გავრცელებას, რაც საჯარო დანესებულებაში დასაქმებული არამოხელე პირებისათვის დაუსაბუთებლად მომეტებული ტვირთის დაკისრება იქნება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორგანო ახორციელებს საჯარო საქმიანობას, ერთმნიშვნელოვ-

ნად არ ადგენს განსჯადობის წესს, ვინაიდან მოცემული დავა უკავშირდება არა ორგანოს საქმიანობას, არამედ მის კონკრეტულ მუშაკთან შრომით ურთიერთობას. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო ფუნქციების დელეგირება შესაძლებელია ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც, რაც ცხადია არ აქცევს მათი მუშაკების გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავას ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ. ამდენად, განსჯადობის შესახებ დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა სასაზღვრო პოლიციის ფუნქციებს, არამედ თ. ც-სა და ორგანოს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შინაარსს.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 20.2 მუხლის თანახმად, მინისტრი ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტრუქტურასა და საქმის წარმოების წესს („ზ“ ქვ.პ.). საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა, კომპეტენცია, უფლება-მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 21.06.2006წ. №786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულებით“, რომლის თანახმად, სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით (2.6 მუხ.).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ თანახმად, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე არის პოლიციელი, საჯარო მოხელე, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურე (მე-2 მუხ. „ა“ ქვ.პ.). ამდენად, „სამსახურის გავლის წესი“ ერთმანეთისაგან მიჯნავს სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული მუშაკების სტატუსს და სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებულ ყველა პირს ავტომატურად არ მიიჩნევს საჯარო მოხელედ. საჯარო მოხელედ მიიჩნევა სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული ნოდების არმქონე საჯარო მოხელე (მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), ხოლო შტატგარეშე მოსამსახურედ ითვლება პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება გარკვეული ვადით სასაზღვრო პოლიციაში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (მე-2 მუხ.

„დ“ ქვ.პ). ამდენად, აღნიშნული წესის თანახმად, სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურე არ მიიჩნევა საჯარო მოხელედ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმაში მიეთითებოდა, რომ შტატგარეშე მოსამსახურე არის საჯარო მოხელე, რომელიც ინიშნება არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და არა უბრალოდ პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ან აქტის საფუძველზე დროებით ახორციელებს გარკვეულ ამოცანებს. სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებულ საჯარო მოხელესა და შტატგარეშე მოსამსახურეს შორის მკვეთრი მიჯნის არსებობაზე აქცენტირება ხდება „სამსახურის გავლის წესის“ არაერთ ნორმაში, კერძოდ, მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის პოლიციელისა და საჯარო მოხელეებისათვის არის დაშვებული სამსახურებრივი-საშტატო იარაღის შენახვის, ტარების და გამოყენების შესაძლებლობა (7.8 მუხ.); საჯარო მოხელისაგან განსხვავებით, შტატგარეშე მოსამსახურე შესაძლოა არ იყოს საქართველოს მოქალაქე (13.1, 13.2 მუხ.); კადრების განკარგულებაში მხოლოდ პოლიციელის და საჯარო მოხელის გადაყვანა ხდება (33-ე მუხ.); განსხვავდება საჯარო მოხელისა და შტატგარეშე მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველები (34.2, 34.3 მუხ.); შტატგარეშე მოსამსახურეს, საჯარო მოხელისაგან განსხვავებით არ ეძლევა ერთნაირი არაანაზღაურებადი და სასწავლო შევებულებები (60.10 მუხ.); სასაზღვრო პოლიციის საჯარო მოხელისგან განსხვავებით, შტატგარეშე მოსამსახურის მიმართ არ მოქმედებს 18-დან 21 წლამდე სამსახურში მიღების წესი (12.1 მუხ.). ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმატიული მოწესრიგების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ თ. ც-ი, როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურე, არ უნდა იქნეს მიჩნეული საჯარო მოხელედ. მოხელესა და შტატგარეშე მოსამსახურეს შორის აღნიშნული მიჯნის გავლება განპირობებულია მათი ფუნქციური დატვირთვის სხვაობით. შესაბამისად, ვინაიდან თ. ც-ის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, მისი ქმედებები უშუალოდ არ არის მიმართული ორგანოს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულებისკენ, მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ვერ მიიჩნევა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად, რადგან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ხდება საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ „შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფრო-

სის 14.03.2016წ. ბრძანებით შტატგარეშე მოსამსახურესთან – თ. ც-თან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის გამომრიცხავი სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში. საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აღნიშნული ბრძანების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. ამდენად, სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ხსენებული ბრძანება არ მიიჩნევა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად, რადგან გამოცემული არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური რეკვიზიტების ქონა და დასახელება, სათანადო შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, დოკუმენტს ვერ აქცევს ადმინისტრაციულ აქტად. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 14.03.2016წ. №638995 ბრძანებით თ. ც-ს შეუწყდა სასაზღვრო პოლიციის უფროსის 02.09.2015წ. №1928466 ბრძანებით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების პროცესში დანესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადაწყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს. განსახილველ საქმეში სასაზღვრო პოლიციის უფროსის 14.03.2016წ. ბრძანებაში ასახულია მხოლოდ ორგანოს ნება კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რაც გადაწყვეტილებას, მხოლოდ ბრძანების ფორმით გამოცემის გამო, ვერ აქცევს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. ზემოაღნიშნული გარემოებები დამატებით ადასტურებს, რომ მხარეებს შორის არსებობდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობა, შესაბამისად, თ. ც-თან შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები საქართვე-

ლოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ საფუძველზე უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს შტატ-გარეშე მოსამსახურის ცნებას, თუმცა დამხმარე და არამუდმივ ამოცანათა შესრულებაზე უფლებამოსილი პირი მოქცეულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირის ცნებაში (მე-3 მუხ. „ვ“ ქვ.პ.), ამავე კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება საქართველოს შრომის კანონმდებლობა (6.3 მუხ.) და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მხოლოდ გარკვეული ნორმები (84.2 მუხ.). კანონი პირდაპირ ითვალისწინებს დათქმას შრომითი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვის შესახებ (119.1 მუხ.).

ამდენად, მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც, სახეზე არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის. შესაბამისად, სსკ-ის 11.1 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა განხილულ უნდა იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე, 399-ე მუხლებით, და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თ. ც-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეყნულებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის ადგილი

განჩინება

№ბს-709-702(გ-16)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ი/მ ა. პ-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა მოპასუხე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობის თაობაზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ახალციხის რაიონულ სასამართლოსა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ი/მ ა. პ-მა 05.05.2016წ. საჩივრით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს მიმართ მოპასუხის 08.04.2016წ. №007105 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვეთრის) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 06.05.2016წ. განჩინებით ი/მ ა. პ-ის საჩივარი მიჩნეულ იქნა სარჩელად და მიენიჭა შესაბამისი საალრიცხვო-სტატისტიკური ნომერი.

ი/მ ა. პ-მა 20.05.1016წ. სარჩელით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს მიმართ მოპასუხის 08.04.2016წ. №007105 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვეთრის) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 24.05.2016წ. განჩი-

ნებით მოსარჩელე ი/მ ა. პ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის იურიდიული მისამართია ქ. ახალციხე, ... ქ. №6, ხოლო სსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ახალციხის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას, 21.06.2016წ. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურმა სამმართველომ წერილობით იმუშამდგომლა არასათანადო მოპასუხის – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს სათანადო მოპასუხით – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოთი შეცვლა და სსკ-ის 15.1 მუხლის საფუძველზე საქმის განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაეგზავნა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 23.06.2016წ. განჩინებით ა. პ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ 08.04.2016წ. №007105 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვეთრის), ბათილად ცნობის თაობაზე გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მოპასუხედ მიუთითა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომლის ადგილსამყოფელი მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება, ამდენად, საქმე განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასკ-ის 1.2, 26-ე მუხლებისა და სსკ-ის მე-15 მუხლის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 05.07.2016 წ. განჩინებით ი/მ ა. პ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 63.1 მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირის პასუხისმგებლობა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული

მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ თავითა და სართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად არის განსაზღვრული, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რითაც გამოირიცხება ამ კატეგორიის საქმეთა სხვა წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების (საჯარიმო ქვითარი-სამართალდარღვევის ოქმი) გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. ახალქალაქი, ამასთანავე, სადავო საჯარიმო ქვითარი, სამართალდარღვევის ოქმი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შედგენილია (გამოცემულია) სართალდარღვევის ჩადენის ადგილას ქ. ახალქალაქში. ამრიგად, სარჩელი გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის თაობაზე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება დასახელებული მოპასუხედ. სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განსახილველი დავაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, ახალციხის რაიონული სასამართლოსა და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ნყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი/მ ა. პ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, ი/მ ა. პ-მა სარჩელი აღძრა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს 08.04.2016წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №007105 ოქმის (საჯარაიმო ქვეთრის) ბათილად

ცნობის მოთხოვნით. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ მოსარჩელე დაჯარიმდა 1200 ლარით სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68.2 მუხლის საფუძველზე, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების ახალი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ შეუსრულებლობის გამო.

სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ხდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით (1.1 მუხ.), რომლის 63.1 მუხლის მიხედვით პირის პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. განსახილველ შემთხვევაში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით, ამდენად გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისის არსებობა არ დასტურდება, ამასთანავე, საქმის მასალებით უდავოდ დგინდება, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქ. ახალქალაქში, შესაბამისად, დავა ტერიტორიულად ახალქალაქის რაიონული სამართლოს ქვემდებარეა.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გა-
დანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმი-
საწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და
ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დი-
ვერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ
განაწილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ ა. პ-ის
სარჩელი ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-
ორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებითა და:

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი/მ ა. პ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექ-
ვემდებაროს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-
ლოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის ადგილი ალტერნატიული განსჯადობის დროს

განჩინება

№ბს-900-892(გ-16)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 14 სექტემბერს ნ. გ-ამ საჩივრით მიმართა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

საჩივრის ავტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 29 აგვისტოს №ათ000027429 დადგენილების, №ათ000027429 საჯარიმო ქვითრის და მასზე წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 5 სექტემბრის №20/12-2888 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით ნ. გას საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-159^ბ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქალაქი ხაშური. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ას საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: საჩივრის ავტორი – ნ. გ-ა, მონინალმდეგე მხარე – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად მითითებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია; საჩივრის ავტორის საცხოვრებელ ადგილად აღნიშნულია – ქ. თბილისი, ... ქუჩა №10, ბინა №38. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველი საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლო.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო

აქტებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების მიხედვით საჩივრის ავტორმა სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საცხოვრებელ ადგილად აღნიშნა თბილისი, გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამება აღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფ-

ლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 29 აგვისტოს №ათ000027429 დადგენილების, №ათ000027429 საჯარიმო ქვითრის და მასზე წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 5 სექტემბრის №20/12-2888 დადგენილების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ მოცემულ

შემთხვევაში სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო საჩივრის ავტორის – ნ. გ-ას საცხოვრებელი ადგილია – ქ. თბილისი, ... ქუჩა №10, ბინა №38.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 116-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 116-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებულ აქტებს საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი, ხოლო ნ. გ-ას საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი და მან საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ნ. გ-ამ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. შესაბამისად, საქმე ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. გ-ას საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული საამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის ადგილი ანტიარნატიული განსჯადობის დროს

განჩინება

№ბს-126-125(გ-17)

22 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 13 იანვარს გ. ნ-მა საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საჩივრის ავტორმა 2016 წლის 4 დეკემბრის №ეი663088 საჯარიმო ქვითრის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20-24-3241602 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2017 წლის 18 იანვრის დადგენილებით გ. ნ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში მიუთითა – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტზე, ასევე – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაზე საქმეზე „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (GOLDER v. THE UNITED KINGDOM. Judgment of 21 February 1975).

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა (სასარჩელო) სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით. ამასთან, ხსენებული კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადანყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ად-

მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენდა დაბა სურამი, ამდენად, გ. ნ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ხაშურის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით ასევე აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საჩივრის ავტორი №ეინ63088 საჯარიმო ქვითართან ერთად სადავოდ ხდიდა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს დადგენილებასაც, რომლის ტერიტორიული მისამართი არ შედიოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსაჯადი საქმეების სამოქმედო ტერიტორიულ ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილზე და მიიჩნია, რომ გ. ნ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: საჩივრის ავტორი – გ. ნ-ი, მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველო, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სა-

მართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7¹ ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. თბილისი, ... №23, ბინა №3ა. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯად სასამართლოებს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლო.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საჩივრის ავტორმა – გ. ნ-მა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო

საქმის მასალებს, შეამონმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად ამ ეტაპზე უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივაა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მი-

ერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია 2016 წლის 4 დეკემბრის №ინ63088 საჯარიმო ქვითრის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20-24-3241602 დადგენილების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7¹ ნაწილის შესაბამისად, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი. შესაბამისად, გ. ნ-ი ნამდვილად იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ანუ ქ. თბილისში ცხოვრების შემთხვევაში მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის. 2017 წლის 13 იანვარს

გ. ნ-მა საჩივრით სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მისი საცხოვრებელი მისამართი გარკვეულწილად ბუნდოვანია, რადგან საქმეში არსებული მისამართი – ქ. თბილისი, ... ქ. №23, ბინა №3ა, გ. ნ-ის წარმომადგენლის – საადვოკატო ფირმა შპს „...“ მისამართს წარმოადგენს. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს დამრღვევის – გ. ნ-ის საცხოვრებელ ადგილს ნამდვილად წარმოადგენს თუ არა ქ. თბილისი და შემდეგ განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხი საქმის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, რადგან დამრღვევის საცხოვრებელ ადგილად ქ. თბილისის დადგენის შემთხვევაში – საქმის განხილვასა და გადანაცვებაზე უფლებამოსილ სასამართლოს სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს, ხოლო აღნიშნული ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში კი საქმის განხილვასა და გადანაცვებაზე უფლებამოსილი სასამართლო – ხაშურის რაიონული სასამართლო (ანუ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით სასამართლო) გახდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ნ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ ამ ეტაპზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ
საქმის განხილვის ადგილი ალტერნატიული
განსჯადობის დროს**

განჩინება

№ბს-82-81(გ-17)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 1 დეკემბერს გ. რ-იმ სასარჩელო განცხადებით მიმართა ლანჩხუთის მაგისტრატე სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი 2016 წლის 21 ივლისის №ეი449557 და 2016 წლის 24 აგვისტოს №აბ000210548 ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ლანჩხუთის მაგისტრატე სასამართლოს 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინებით გ. რ-ის სარჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ლანჩხუთის მაგისტრატემა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრება, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სასარჩელო სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. რ-ის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, სადავო გახადოს სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების საკითხი, სასამართლოში საჩივრის წარდგენის გზით, როგორც ეს დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოხსენებული ნორმებით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულია იმერეთის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ 2016 წლის 21 ივლისს და 2016 წლის 24 აგვისტოს შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრები, ხოლო საჩივრიდან ირკვევა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გ. რ-ის მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹-ე მუხლის საფუძველზე, ადგილზე შედგენილი ელექტრონული ქვითარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თავში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ საჩივარი განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ უნდა იქნეს 261-ე მუხლში მითითებული სპეციალური დათქმა (სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით) და სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სწორედ სა-

მართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მაგისტრატმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. რ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შესაბამისად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ისე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი – საჯარიმო ქვითარი, რომლის გაუქმებასაც ითხოვს საჩივრის ავტორი, შედგენილია 2016 წლის 21 ივლისს და 2016 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით; ელექტრონული საჯარიმო ქვითარის შედგენის ადგილია ლანჩხუთი, ... ქუჩა, ხოლო სამართალდამრღვევის – გ. რ-ის საცხოვრებელი ადგილია – ქ.მოსკოვი, ... გამზ. №10.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად,

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორმა – გ. რ-იმ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, ვინაიდან არც საგნობრივი და არც ტერიტორიული პრინციპით თბილისის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენს განსჯად სასამართლოს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის სა-

კითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩე-

ვით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი 2016 წლის 21 ივლისის №ეი449557 და 2016 წლის 24 აგვისტოს №აბ000210548 ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ აღნიშნული ელექტრონული საჯარიმო ქვითრები შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთში, ... ქუჩაზე, ხოლო სამართალდამრღვევის – გ. რ-ის საცხოვრებელი ადგილია – ქ. მოსკოვი, ... გამზ. №10.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-159^ბ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი, საჯარიმო ქვითარი შედგენილია ლანჩხუთში, ... ქუჩაზე, ხოლო გ. რ-ის საცხოვრებელი ადგილია – ქ. მოსკოვი, ... გამზ. №10 და მან საჩივრით მიმართა ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა –

გ. რ-იმ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. რ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ
საქმის განხილვის ადგილი ალტერნატიული
განსჯადობის დროს**

განჩინება

№ბს-41-40(გ-17)

30 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობით: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ნ. ჯ-ის საჩივართან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-ემ 2016 წლის 30 დეკემბერს საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა პატრულ-ინსპექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული 2016 წლის 24 დეკემბრის №ეი 704554 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 იანვრის განჩინებით ნ. ჯ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქა-

ლაქო სასამართლო. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 24 დეკემბრის № 704554 ელექტრონული საჯარიმო ქვითრის თანახმად, სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის ხაშურის მონაკვეთზე, რომელიც განეკუთვნება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, სადაც განხორციელდა სამართალდარღვევა. მოცემულ შემთხვევაში, სამართალდარღვევის ადგილად მითითებულია ხაშური, რომელიც განეკუთვნება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

ხაშურის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და 2017 წლის 12 იანვრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-159^ბ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. ბათუმი, ... ქუჩა № 159. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული სასამართლო და ბათუმის საქალაქო სასამართლო. სასამართლოს მოსაზრებით, საჩივრის ავტორმა ნ. ჯ-ემ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა ბათუმის საქალაქო სასამართლო, რის გამოც აღიძრა დავა განსჯადობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სას.კ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ნ. ჯ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-ე–159^ბ-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. ჯ-ეს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია: ქ. ბათუმი, ... ქ. №159.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონულ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ჯ-ის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჯ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ
საქმის განხილვის ადგილი ალტერნატიული
განსჯადობის დროს**

განჩინება

№ბს-315-313(გ-17)

30 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა გ. შ-ის საჩივართან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქარელის მაგისტრატ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. შ-ემ 2017 წლის 27 თებერვალს საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა პატრულ-ინსპექტორის კ. ფ-ის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილებების – 2017 წლის 24 თებერვლის №ეი 888354 ელექტრონული ქვითრის გაუქმება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით გ. შ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქარელის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-159^ბ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 24 თებერვლის №ეი888354 საჯარიმო ქვითარსა და საჩივარში მი-

თითებული გარემოებების თანახმად, სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქარელის რაიონის ავტობანის მონაკვეთზე, რომელიც განეკუთვნება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, სადაც განხორციელდა სამართალდარღვევა. მოცემულ შემთხვევაში, სამართალდარღვევის ადგილად მითითებულია ქარელის რაიონის ავტობანის მონაკვეთი, რომელიც განეკუთვნება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლო ქარელის მუნიციპალიტეტში არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და 2017 წლის 16 მარტის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6² ნაწილის საფუძველზე. სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილია – ქ. ბათუმი, ... ქუჩა №14, ბინა №7. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლობაა ქარელის მაგისტრატი სასამართლო და ბათუმის საქალაქო სასამართლო. მაგისტრატი სასამართლოს მოსაზრებით, საჩივრის ავტორმა გ. შ-ემ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფ-

ლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა ბათუმის საქალაქო სასამართლო, რის გამოც აღიძრა დავა განსჯადობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ქარელის მაგისტრატი სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ გ. შ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ა-ე–159^ბ-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. შ-ეს ადმინისტრაციული

სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6² ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია: ... ქუჩა №14, ბინა №7.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქარელის მაგისტრატ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გ. შ-ის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. შ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საერთო განსჯადობა იურიდიული პირის
ადგილსამყოფლის მიხედვით**

განჩინება

№ბს-84-83(გ-17)

22 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ჩინჩალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 29 დეკემბერს ლ. ს-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 დეკემბრის №318919 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 იანვრის განჩინებით ლ. ს-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და მე-2 მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე მოპასუხედ მითითებული იყო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 დეკემბრის №318919 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ლ. ს-ის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. სადავო აქტი ეხებოდა ნინოწმინდის ტერი-

ტორიაზე მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებულ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის საკითხს. ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სადავო გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა ტერიტორიული სამსახურის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ოფისის მეშვეობით, რომლის ადგილსამყოფელსაც ახალქალაქის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასთან და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა დაკავშირებული იყო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავი ქონების რეგისტრაციასთან, რის გამოც, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის განხილვა წარმოადგენდა იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც შედიოდა მოცემული ქონება.

ამდენად, ვინაიდან, სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფელი იყო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ამასთან, ქალაქ ნინოწმინდის ადმინისტრაციული საზღვრები შედიოდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაში, სარჩელი, დავის საგნიდან გამომდინარე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ნივთობრივი განსჯადობის შესაბამისად, უნდა გადაგზავნოდა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ სა-

ქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-721-707(გ-14) განჩინებაზე.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ეხებოდა არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის კანონიერებას. შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის განხილვა იყო იმ სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

ამასთან, რაიონული სასამართლოს განმარტებით მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ არც თავდაპირველი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი იმყოფებოდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს უარი ეთქვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი კი მდებარეობდა ქალაქ ახალციხეში, სადაც ვრცელდებოდა ახალციხის რაიონული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა.

ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იყო დაენყო დავა მოცე-

მულ საქმეზე განსჯადობის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ამ ეტაპზე წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 დეკემბრის №318919 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ლ. ს-ის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალევა, ხოლო სარჩელში მოპასუხედ მითითებულია ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. ამდენად, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა დისპოზიციურობის პრინციპი. ეს უკანასკნელი სამართალწარმოებაში წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მხარეთა გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებებით ან განკარგონ ისინი. დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში და მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე ან სწორად აქვს თუ არა მითითებულ მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასამართლო მხოლოდ მოსარჩელის თანხმობითაა უფლებამოსილი თავდაპირველი მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, ლ. ს-ის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალელების ნაწილში – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, რადგან საკუთრების უფლების რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო, მოცემულ შემთხვევაში – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამ-

ცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი, რომლის მისამართია ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩის მიმდებარედ. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნაც დასაზუსტებელია, ვინაიდან, სადავო – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 2 დეკემბრის №318919 გადაწყვეტილება ეხება სწორედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისის გადაწყვეტილების (ძირითადი აქტი) კანონიერების შესწავლის საკითხს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოსარჩელეს უნდა დააზუსტებინოს სასარჩელო მოთხოვნა, მისი თითოეული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოპასუხე და შემდეგ განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხი საქმის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ლ. ს-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ს-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ამ ეტაპზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით

განჩინება

№ბს-964-955(გ-16)

16 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ვ. გ-ას სარჩელთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-ამ 2016 წლის 21 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის – ტ. ყ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. გ-ას უარი ეთქვა 2016 წლის 23 სექტემბრის №... ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისის 2016 წლის 17 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 17 მაისის №... გადაწყვეტილება „რეგისტრაციის შესახებ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ვ. გ-ას სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირის-ტ. ყ-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის სააქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარედგინებულა იქნეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. ტერიტორიულ განსჯადობაზე დავის შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზეა რამდენიმე მოპასუხე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის გადანყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთანავე, განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე; კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადანყვეტაზე. მოცემულ შემთხვევაში ვ. გ-ას მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის – ტ. ყ-ის მიმართ. მხარე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №277689 გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. გ-ას უარი ეთქვა 2016 წლის 23 სექტემბრის №... ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისის 2016 წლის 17 მაისის №... გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში; ასევე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი „რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 17 მაისის №... გადანყვეტილება. ანუ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვეტილების, არამედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის-საქარ-

თველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის გადანაცვეტილებასაც. ამავე დროს, მოცემულ შემთხვევაში ორივე სადავო აქტი ერთი და იმავე სამართალურთიერთობას ეხება, კერძოდ, დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის შესწავლას. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადავო – 2016 წლის 20 ოქტომბრის №277689 გადანაცვეტილებით არ მიუღია ახალი, სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის გადანაცვეტილებისაგან განსხვავებული გადანაცვეტილება, მას არ შეუტანია რაიმე სახის ცვლილება სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ გადანაცვეტილებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს-საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი) ადგილმდებარეობის (მისამართი: სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №6) მიხედვით – სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ (სასამართლო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განჩინებას, საქმე №ბს-721-707 (გ-14)).

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამტრედია, ... გამზირის №...-ში და სასამართლოს მოსაზრებით სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, რადგან უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განხორციელების ფუნქცია საქართვე-

ლოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აქვს, რომელიც სარეგისტრაციო წარმოებას ახორციელებს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 35.2 მუხლის თანახმად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. გ-ას სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირის – ტ. ყ-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში დაცული იქნება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

ვ. გ-ამ 2016 წლის 20 დეკემბერს დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის ფილიალისა და მესამე პირის – ტ. ყ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და ნაწილობრივ განხილვაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რეგისტრაცი-

ის შესახებ – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 17 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ვ. გ-ას მიერ 2016 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში წარდგენილ №... განაცხადზე – 1072 კვ.მ ფართის ნაწილში მოპასუხისათვის წარმოების განახლების დავალება.

სამტრედიის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 ნოემბრის განჩინებას და 2016 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2 და ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი, რომლის იურიდიული მისამართია ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ. №20.

სასამართლომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 31-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულის – ფილიალის ფუნქციები და კომპეტენცია შეკვეცილი და შეზღუდულია და იგი აღარ წარმოადგენს უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურულ ერთეულს. ამდენად, 2016 წლის 16 მაისიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სტრუქტურული ერთეული ფილიალის სახით აღარ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ანუ მოპასუხეს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის უფლებადამდგენი, თავდა-

პირველი აქტების გამომცემი მოპასუხე მხარე. განსახილველ შემთხვევაში კი ამ სახის მოპასუხედ ერთმნიშვნელოვნად მოი-აზრება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რე-გისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მარ-თვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი, რომლის იური-დიული მისამართია ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ. №20. შესაბამი-სად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მო-ცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ქუ-თაისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედე-გად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა და-ვას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა და-ექვემდებაროს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული და-ვის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე სამ-ტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარ-ჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მი-თითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნ-და წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამას-თან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამარ-თლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოი-ყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესე-ბი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯა-დობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წა-რედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსე-

ნებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია:

1. ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და განხილვაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 20 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა;

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 17 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. ვ. გ-ას მიერ 2016 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში წარდგენილ №... განცხადებაზე – 1072 კვ.მ ფართის ნაწილში მოპასუხისათვის წარმოების განახლების დავალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას საგნობრივი, ან/და ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სადავო აქტი, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 17 მაისის №... გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 20 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება ერთი და იმავე სამართალურთიერთობას ეხება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონული რე-

გისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის ფილიალი, არიან ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა ორგანოები. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა საქალაქო სასამართლოებში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლო პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქმის განხილვა უნდა მოხდეს ძირითადი აქტის გამომტანი ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას, არამედ სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის (უფლებამონაცვლე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი) გადაწყვეტილებას, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოსა და სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის აქტების ბათილად ცნობას. ამასთან, 2016 წლის 20 დეკემბრის დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელეს მოპასუხედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად დასახელებული ჰყავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის ფილიალი. მოსარჩელე ითხოვს ვ. გ-ას მიერ 2016 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში წარდგენილ №... განცხადებაზე – 1072 კვ.მ ფართის ნაწილში მოპასუხისათვის წარმოების განახლების დავალებას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სამტრედიის რაიონული სასამართლოს მითითებას, რომ 2016 წლის 16 მაისიდან დებულების 31-ე მუხლის თანახმად, ტერიტორიული სტრუქტურული ქვედანაყოფის – ფილიალის ფუნქციები და კომპეტენცია შეკვეცილი და შეზღუდულია და იგი აღარ წარმოადგენს უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურულ ერთეულს. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის

– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 31-ე მუხლის თანახმად, ფილიალის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, ფილიალის ძირითადი ფუნქციებია: ა) განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების გაცემა; ბ) სარეგისტრაციო პროცედურებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინფორმირება და მათთვის კონსულტაციის განევა; გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით და შემთხვევებში, გარეგეზების მხარეების ხელმოწერების დადასტურება; დ) შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; ე) განხორციელებული საქმიანობისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ყოველი კვარტლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი პირებისთვის; ვ) უფლებამოსილების ფარგლებში კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; ზ) სააგენტოს დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეული დავალებების შესრულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. ამდენად, ფილიალის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძვლის – განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების გაცემა მის სამოქმედო ტერიტორიაზე. ასევე, ფილიალის უფლებამოსილებაა შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, განსჯადობის შესახებ დავებზე საკასაციო სასამართლოს მიერ ამ დრომდე მიღებული განჩინებებით დადგენილი პრაქტიკის შეუცვლელად (იხ. სუს. 16.04.15წ. საქმე №ბს-721-707 (გ-14)), მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 (საერთო განსჯადობა) მუხლთან ერთად, ამავე კოდექსის მე-16 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები, აღნიშნული ნორმების თანახმად: სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპა-

სუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. მე-18 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავა წარმოიშვა სამოქალაქო სამართალურთიერთობაში წამოჭრილი ქონებრივი დავის გამო, ამდენად, ფაქტობრივად, ფიზიკურ პირებს შორის სამოქალაქო ხასიათის კონფლიქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის წინაპირობას, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების კანონიერება ფიზიკურ პარებს შორის სადავო ქონებაზე რეგისტრირებულ უფლებაზე, ხოლო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფილიალი კანონმდებლობით და დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შემსრულებელ ტერიტორიულ სუბიექტს. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო სუბიექტის უძრავი ნივთის მესაკუთრის მიმართაც. ამდენად, იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების განმახორციელებელი ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით და სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული ქონება – მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამტრედიაში, ... გამზირის №...-ში და სასამართლოს მოსაზრებით

სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ, რამეთუ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განხორციელების ფუნქცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აქვს, რომელიც სარეგისტრაციო წარმოებას ახორციელებს რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მეშვეობით.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. ამასთანავე, იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია ფილიალი, სარჩელის განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით (საერთო განსჯადობის) გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით (იხ. სუს. 16.04.15წ. საქმე №ბს-721-707 (გ-14)).

საგულისხმოა, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 35.2 მუხლის თანახმად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ ფილიალების უფლებამოსილების შეზღუდვა, ფილიალების იურიდიული მისამართის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ სასამართლოს არ აქცევს არაგანსჯადად, რამდენადაც აღნიშნული გამოიწვევს რეგიონული ოფისების მიხედვით, სასამართლოების გადატვირთვას და ფილიალების ადგილსამყოფლის მიხედვით, სასამართლოების ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემ-

ცირებას, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ვ.გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბანსჯადობა უძრავი ქონების აღბიღებარეობის მიხედვით

ბანჩინება

№ბს-952-943(გ-16)

16 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ჯ. მ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. მ-მა 2016 წლის 25 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 3 ნოემბრის №290600 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით დადგენილი შეზღუდვის რეგისტრაციის დავალება, საკადასტრო კოდით: №..., 2016 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, კერძოდ – №... საკადასტრო კოდზე ტრანზაქციის გაუქმება, რომელიც შეეხება ე. გ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციას და იმავე საკადასტრო კოდზე შეზღუდვის რეგისტრაციის განხორციელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ჯ. მ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული

რეგისტრაციის სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მონესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ხსენებული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, ჯ. მ-ის მიერ სარჩე-

ლი აღძრულია მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიმართ და მხარე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 3 ნოემბრის №290600 გადაწყვეტილება და ასევე ითხოვს დაევალოს მოპასუხეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით დადგენილი შეზღუდვის რეგისტრაცია მინის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: №..., 2016 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, კერძოდ, გაუქმდეს საკადასტრო კოდზე: №... ტრანზაქცია, რომელიც შეეხება ე. გ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციას და იმავე საკადასტრო კოდზე განხორციელდეს შეზღუდვის რეგისტრაცია. ხოლო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს გარდაბანი, სოფელი ...

სასამართლომ დამატებით მიუთითა, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული გარემოების მხედველობაში მიღებით, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში კი აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულება, რომლის

თანახმადაც, სააგენტოს მიზანია შესაბამისი პირებისათვის სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მწარმეთა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების (შემდგომში – საჯარო რეესტრი), მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის წარმოება და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული სამსახურების ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით და სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სამსახურების დებულებებით. ამავე დებულების თანახმად, სააგენტოს თითოეული თანამშრომლის მიზანი და ვალდებულებაა, უზრუნველყოს მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება, რაც კანონის დაცვით მომხმარებლის ინტერესის შესაბამისი გადანყვეტილებების მიღებასა და საჯარო და კერძო ინტერესებს შორის თანაზომიერების პრინციპის დაცვას გულისხმობს. მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების პრიორიტეტი მომხმარებლის ბიუროკრატიული ბარიერებისგან დაცვასა და მისი კმაყოფილების ზრდას უნდა ემსახურობოდეს.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ.თბილისში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2). აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების შემთხვევაში, ამოსავალს უნდა წარმოადგენდეს სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. სასამართლოს მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ერთი მხრივ ხელს შეუწყობს როგორც მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ასევე მეორე მხრივ დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ. მ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ზემოაღნიშნულ განჩინებას და 2016 წლის 7 დეკემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც საერთოდ არ იქნა განხილული მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი და დავის საგანს არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ჯ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდე-

საც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ქ. გორში, ... ქუჩის №157-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი დატვირთვის – რეგისტრირებულ უფლებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ 2014 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავა წარმოიშვა სამოქალაქო სამართალურთიერთობაში წამოჭრილი ქონებრივი დავის გამო, ამდენად, ფაქტობრივად, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამოქალაქო ხასიათის კონფლიქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის წინაპირობას, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სადავო ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი გან-

სჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს გარდაბანში, სოფელ ... და საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ჯ. მ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფელის გათვალისწინებით, ეფექტუ-

რი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ჯ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. მ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სადავო ქონების აღვიმდებარეობის მიხედვით

განჩინება

№ბს-960-951(გ-16)

16 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა რ. ბ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ბ-მა 2016 წლის 21 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ოქტომბრის №276488 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2016 წლის 3 აგვისტოს რ. ბ-მა ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში წარადგინა №... განცხადება და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მარნეულის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდი №... უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაზუსტდა მიწის ნაკვეთის საზღვრები და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები გახდნენ ა. ბ-ა და ზ. ბ-ა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა ვ. ი-მა, რომელიც დაკმაყოფილდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ოქტომბრის №... გადან-

ყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 9 აგვისტოს №... გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინებით რ. ბ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე გადაეგზავნა განსჯად ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, მე-18 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-20 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსა და ამ აქტით გათვალისწინებულ ქონებაზე უფლების მქონე პირის მიმართ და მისი ინტერესია შესაბამის უძრავ ქონებაზე უფლების დადასტურება. დასახელებული გარემოებები კი ცხადყოფს, რომ სარჩელი ნივთობრივი განსჯადობით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო აქტით გათვალისწინებული ქონება.

ბოლნისის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ზემოაღნიშნულ განჩინებას და 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული უფლების გაუქმებას ზემდგომი ორგანოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დავის საგანს წარმოადგენს არა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელმაც არსებითად შეცვალა არსებული მდგომარეობა. მოსარჩელის მიზანია სადავო აქტის მიღებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის საგანი მოიცავს მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით განხილვა არის იმ სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ რ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბოლნისის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ბოლნისის რაიონულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზ-

ღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია მარნეულში, სოფ. ..., ..., №9-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება და საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავა წარმოიშვა სამოქალაქო სამართალურთიერთობაში წამოჭრილი ქონებრივი დავის გამო, ამდენად, ფაქტობრივად, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამოქალაქო ხასიათის კონფლიქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის წინაპირობას, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სადავო ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასე-

თი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს მარნეულში, სოფ. ..., ... №9-ში და საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ რ. ბ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა

და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ნაკადის დივერსიფიცირებულ მართვას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, რ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ბ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სადავო ქონების აღვიმდებარეობის მიხედვით

განჩინება

№ბს-219-217(გ-17)

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა გ. ჩ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-ემ 2017 წლის 10 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 დეკემბრისა და 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, გარდაბანში, სოფელ ... №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ ცნობა და მოპასუხისათვის გ. ჩ-ის მესაკუთრედ რეგისტრაციის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით გ. ჩ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე გადაეგზავნა განსჯად რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებულმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა გარდაბანში, სოფელ ... მდებარე უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციაზე. დასახელებული გარემოება კი

ცხადყოფს, რომ სარჩელი ნივთობრივი განსჯადობით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სადავო უფლების ობიექტი – უძრავი ქონება მდებარეობს. ამგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით დაცული იქნება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობისა და ოპერატიულობის, საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ზემოაღნიშნულ განჩინებას და 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოსარჩელის რეალურ მიზანს წარმოადგენს აღძრული სარჩელით განახორციელოს გარდაბანი, სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილება მხარეს შეუძლია მოითხოვოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის აღძვრის პირველივე სტადიაზე უნდა შეფასდეს მხარის კანონიერი ინტერესები, რა სურს რეალურად მხარეს და როგორ უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბებული, ისე, რომ მას სწორი მსვლელობა მიეცეს სარჩელის განხილვის ეტაპზე, რამდენადაც არასწორად აღძრული სარჩელი შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე მხარეს დაევალოს უძრავ ქონებაზე მდებარე გარდაბანი, სოფელი ... ს.კ. ... მესაკუთრედ ცნობა. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში დასაზუსტებელია მოთხოვნა. კერძოდ, მოპასუხის მხრიდან მოითხოვს ქმედების განხორციელებას თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამასთან, მოსარჩელემ მოთხოვნის დაზუსტებისას სარჩელში უნდა მიუთითოს შესაბამისი მოპასუხე და მისი მისამართი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს

განჩინებების გაცნობის შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ გ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ

ნივთზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია გარდაბანში, სოფელ ... ს.კ. 81.07.17.075 მდებარე მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვეტილებების გაუქმება, უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა და საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადანყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავ გადანყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავ ნივთზე – გარდაბანში, სოფელ ..., მდებარე 1500 კვ.მ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და ამ უფლებაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე – საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონება მდებარეობს გარდაბანში, სოფელ ... და საკასა-

ციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ გ. ჩ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელებული ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანაცვება ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ნაკადის დივერსიფიცირებულ მართვას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავაზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, გ. ჩ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჩ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით

განჩინება

№ბს-715-711(გ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ი. მ-ის სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გორის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. მ-ემ 2017 წლის 17 აგვისტოს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ ი. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე ქ. გორში, ... ქ. №157, საკადასტრო კოდი: ..., საჯარო რეესტრის ჩანაწერში ტექნიკური ხარვეზის შესწორების რე-

გისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 7 ივნისის №882017477785-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 აგვისტოს განჩინებით ი. მ-ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობა გადაეგზავნა განსჯად გორის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, ისეთი ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ ქონებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქალაქ გორში, ... ქ. №157-ში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა უნდა გადაწყვიტოს განსჯადმა სასამართლომ უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, მეორე მხრივ, დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამოსავალს უნდა წარმოადგენდეს სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ იმ სასამართლოში მიერ, რომლის სამოქმედო

ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

გორის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 აგვისტოს განჩინებას და 2017 წლის 18 აგვისტოს განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომელიც საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის კანონიერება და არა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, ქონების უფლებრივი დატვირთვა ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლება, აგრეთვე ქონების გაყოფა, განაწილება და ფლობა. სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტი და სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ი. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო

სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ქ. გორში, ... ქუჩის №157-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი დატვირთვის – რეგისტრირებულ უფლებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ 2014 წლის 7 ივნისის №...

გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – გორის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თილვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით. (16.06.2014 №1/55 ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დავა წარმოიშვა სამოქალაქო სამართალურთიერთობაში წამოჭრილი ქონებრივი დავის გამო, ამდენად, ფაქტობრივად, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამოქალაქო ხასიათის კონფლიქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის წინაპირობას, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სადავო ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს გორ-

ში, ქ. ... ქ. №157-ში და საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ი. მ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ გორის რაიონულმა სასამართლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანაცვება ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ი. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლე-

ბით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ი. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

განჩინება

№ბს-438-435(გ-17)

3 აგვისტო, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა დავა განსჯადობის თაობაზე ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ა-ემ 21.07.2017წ. საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ მოპასუხის 19.03.2017წ. №ეი982726 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმისა (საჯარიმო ქვითარი) და „დადგენილების უცვლელად დატოვების და განცხადების (საჩივარი) დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ“ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს

13.04.17 №891370 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.05.2017წ. განჩინებით ი. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბაშურის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, თუმცა ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ი. ა-ის საცხოვრებელი ადგილი არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... ი. ა-ემ საჯარიმო ქვითრის გაუქმების მოთხოვნით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, თუმცა ი. ა-ის საცხოვრებელი ექცევა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენს განსჯად სასამართლოს არც სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის და არც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საჩივრის თავი არ ახდენს კონკრეტულ დათქმას სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით საჩივრის შეტანის სავალდებულობაზე, თუმცა გათვალისწინებულია 261-ე მუხლით ზოგადი წესი, რომლის მიხედვით საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

ბაშურის რაიონული სასამართლოს 04.05.17წ. განჩინებით ი. ა-ის საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გამოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, ი. ა-ემ საჩივრის შეტანისას არ მიმართა სასამართლოს დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. ამდენად, ვინაიდან დაჯარიმებული ქმედება გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით, საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობას. სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ზოგადი წესის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას (261.1 მუხ.), თუმცა კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება

განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (261.2 მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ი. ა-ემ 19.03.2017წ. მოძრაობდა თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, რადროსაც გზის ხაშურის მონაკვეთზე შსს შიდა ქართლის საპატრულო დეპარტამენტის მიერ დაჯარიმდა 200 ლარით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.9 მუხლის საფუძველზე. ი. ა-ემ საჩივრით მიმართა სასამართლოს ჯარიმის დაკისრების შესახებ საჯარიმო ქვითრის და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმების მოთხოვნით. ამდენად, სანქციის შეფარდების სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით (125.9 მუხ.), სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობა ალტერნატიულია. ი. ა-ეს შეეძლო საჩივარი წარედგინა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით – ხაშურის რაიონულ სასამართლოში, თუმცა ი. ა-ემ საჩივარი შეიტანა არაგანსჯად ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განსაზღვრულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, რომლის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით (8.2 მუხ.), ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია – ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით (54.2 მუხ.). აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები ურთიერთმოსაზღვრეა, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს შორის ადმინისტრაციული საზღვრები არაერთგზის შეცვლილა – ძირითადად ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდის ხარჯზე, რასაც თან სდევდა ხელვაჩაურის რიგი ტერიტორიების ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოქცევა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო ამჟამად მდებარეობს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე. ამდენად, მართალია, ი. ა-ეს უშუალოდ არ მიუმართავს ხელვაჩაურის რაიონული სასამარ-

თლოსთვის, თუმცა მოსარჩელეს არ მიუმართავს დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მოსაზღვრე – ბათუმის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართვით მოსარჩელემ არაპირდაპირ გამოხატა თავის საცხოვრებელ ადგილთან ტერიტორიულად ახლოს მყოფ სასამართლოში საჩივრის აღქმის და განხილვის ნება, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ა-ის საცხოვრებელი ადგილის მისამართია: ხელვაჩაური, სოფ....

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგავრი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით და:

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოქალაქის ადგილსამყოფლის მიხედვით

განჩინება

№ბს-550-547(გ-17)

28 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ფ. შ-ას სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე სამტრედიის რაიონულ სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. შ-ამ 12.09.2016წ. სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვა მოქალაქისათვის ამჟამად ნ. ხ-ას საკუთრებაში არსებული ქონების ობიექტური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შეფასების დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თ. ტ-ესა და ფ. შ-ას შორის 16.07.2013 წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დაიცვინა ნ. ხ-ას კუთვნილი უძრავი ნივთი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 08.07.2016წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად დაიწყო სააღსრულებო წარმოება მოვალე ფ. შ-ას და ნ. ხ-ას მიმართ. მოქალაქემ არ ჩაატარა ექსპერტიზა, არ მოახდინა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ობიექტური შეფასება. რეალურად ქონების საბაზრო ღირებულება იყო 200 000 ლარი, თუმცა მისი შეფასება განხორციელდა 147 000 ლარად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 13.09.2016წ. განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ სასკ-ის 1.2, სსკ-ის მე-15, მე-18 მუხლების საფუძველზე აღნიშნა, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს განსჯადობის დამდგენი სპეციალური წესი და ვინაიდან სადავოა სააღსრულებო წარმოებისას უძრავი ქონების შეფასების მარ-

თღობიერება, ამიტომ დავა განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს, რადგან უძრავი ნივთი სამტრედიის მდებარეობს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 20.10.2016წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა თ. ტ-ე, ხოლო 15.11.2016წ. განჩინებით – ნ. ხ-ა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 22.05.2017წ. განჩინებით ფ. შ-ას სარჩელი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ სასკ-ის 1.2, სსკ-ის მე-15 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ დავაზე მოპასუხედ დასახელებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიურო, რომლის იურიდიული მისამართია – ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №20, შესაბამისად დავა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარეა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგანი არ განეკუთვნება სსკ-ის მე-18 მუხლში მითითებულ დავათა კატეგორიას, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე არ ეთანხმება კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებლო წარმოების პროცესში ქონების ფასის განსაზღვრას სპეციალისტის მიერ და „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე ითხოვს ქმედების განხორციელებას აღმასრულებლისაგან. დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით დავაზე გადაწყვეტილების მიღებისას განმსაზღვრელი არ არის ქონების ადგილმდებარეობა, მნიშვნელოვანია იმ ორგანოს ადგილმდებარეობა, რომელსაც ედავება მოსარჩელე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს, საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, დავა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს და ქუთაისის

საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ფ. შ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასკ-ის მე-15 მუხლის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული ნორმით დადგენილია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი, რომლის მიხედვით სარჩელი იურიდიული პირის, სანარმოს, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ სასამართლოს წარედგინება მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, შესაბამისად სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიული იურისდიქციის საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე აღიძვრება იმ ადმინისტრაციულ სასამართლოში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარ-

დგენის მომენტი სთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის ადგილმდებარეობის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები, რომელთა მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიურო. აღნიშნული ბიუროს სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქ. ქუთაისის, ხარაგაულის, ზესტაფონის, წყალტუბოს, სამტრედიის, ტყიბულის, ხონის, საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს, ხოლო მისი იურიდიული მისამართია – ქ.ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქუჩა №20 (სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 30.05.2014წ. №634 ბრძანებით დამტკიცებული „იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიუროს დებულება“, მე-6, მე-8 მუხ.). „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. გადაწყვეტილების თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების

ადმინისტრაციული საზღვრებით (43-ე მუხ.), ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით (35-ე მუხ.). მოსარჩელე არ ეთანხმება სააღსრულებო წარმოების პროცესში ქონების ფასის განსაზღვრას სპეციალისტის მიერ და აღმასრულებლისაგან ითხოვს ობიექტური შეფასების ჩატარებას ექსპერტიზის საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოვალესა და კრედიტორს უფლება აქვთ იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოვალესა და კრედიტორს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ან პირდაპირ სასამართლოში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დავა არ ეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, აღძრული არ არის ქონების გაყოფასთან, განაწილებასთან, ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი (სსკ-ის მე-18 მუხ.). მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალებას, შესაბამისად, დავა განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის და არა უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ფ. შ-ას სარჩელი მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული

ბიუროს იმერეთის რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღ-
სრულებო ბიუროს მიმართ განსახილველად დაექვემდებაროს
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

4. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯალობა

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯალობა

განჩინება

№ზ-121-2(ა-17)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

ი. თ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ..., გასას. №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება, ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალება ქ. სოხუმის მერიისათვის.

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 27.04.2006 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ხოლო 17.05.2006 წ. განჩინებით – აფხაზეთის ა/რ მთავრობა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალი ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №21-ში მდებარე სახლის რეგისტრაციაში გატარება, მოსარჩელეს ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. თ-ამ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2007 წ. განჩინებით

ნებით საქმეზე აფხაზეთის მთავრობა ცნობილ იქნა ქ.სოხუმის მერიის უფლებამონაცვლედ და მესამე პირად ჩართული აფხაზეთის მთავრობა ჩაბმულ იქნა საქმეში როგორც სათანადო მოპასუხე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინებით ი. თ-ასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადანყვეტილება. აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.03.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინება ი. თ-ასათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. თ-ას სასარჩელო მოთხოვნა ქ. სოხუმის მერიისათვის მოსარჩელის კუთვნილი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. თ-ა ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში ი. თ-ას გატარება და მის სახელზე საკუთრების უფლებით უძრავი ქონების აღრიცხვა, საქმე ამ ნაწილში ხელახალი არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.09წ. საოქმო განჩინებით მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის ნაწილში საჯარო რეესტრი ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ და ამ ნაწილში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.09წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ი. თ-ას მემკვიდ-

რედ და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის ნაწილში განსახილველად გადაეცა საგნობრივად განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის გამო შეჩერდა სამართალწარმოება საქმის სამოქალაქო წესით განხილვის დასრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ი. თ-ა ცნობილ იქნა მესაკუთრედ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.04.11წ. განჩინებით ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14.07.11წ. განჩინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.12წ. განჩინებით განახლდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. თ-ამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინებით ი.თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადაწყვეტილება ქ.სოხუმში, ... გას. №21-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ი.თ-ას მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და ქ.სოხუმის მერიისთვის მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილების ამ ნაწილებში კანონიერ ძალაში ყოფნის გამო; დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... გას. №21-ში მდებარე სახლის ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დარჩა უცვლელად.

12.10.2015წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მიმართა ი.თ-იამ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

აღნიშნული განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.2015წ. განჩინებით განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.2016წ. განჩინებით ი. თ-ას განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ი.თ-ას მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2016წ. განჩინებით ი. თ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ი. თ-ამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.02.2013წ. და 15.09.2016წ. განჩინებების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმები-

სა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ი. თ-ას განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. თ-ას განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო: ი. თ-ას ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ..., გასას. №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება. სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №21-ში მდებარე სახლის რეგისტრაციაში გატარება. რამდენიმე ინსტანციური განხილვის შემდეგ, საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი.

თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... გას. №21-ში მდებარე სახლის ი. თ-იას სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საკასაციო პალატის მიერ უცვლელად იქნა დატოვებული. სწორედ ამ ნაწილში მიიჩნევს საკასაციო პალატის განჩინებას უკანონოდ ი. თ-ია. ამდენად, განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებულ სადავოდ გამხდარ მოთხოვნაზე არსებითად იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, რომლის 23.02.2012 წ. გადაწყვეტილებით შეცვლილ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. თ-ამ. საკასაციო სასამართლოს 13.02.2013 წ. განჩინებით კი სადავო ნაწილში უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაეს სასამართლოს აღნიშნულ ნაწილში არ შეუცვლია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გადასინჯვის მოთხოვნით ი. თ-იას უნდა მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ი.თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.02.2013 წ. განჩინების გადასინჯვის ნაწილში განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც ი. თ-ას უკვე განემართა მისი განცხადების განსჯადობით გადაგზავნის შესახებ საკასაციო პალატის 30.10.2015წ. განჩინებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2016წ. განჩინების გაუქმების შესახებ, ასევე სააპელაციო სასამართლოს განსჯადია, რადგან აღნიშნული განჩინებით ი. თ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის 10.03.2016წ. განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე ი. თ-ას განცხადების დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის შესახებ, საკასაციო სასამართლოს არ შეუცვლია სააპელაციო პალატის განჩინება, ახლებურად არ მოუწესრიგებია სადავო საკითხი, ამდენად, სსკ-ის 424-ე მუხლის საფუძველზე ი. თ-იას განცხადება აღნიშნული მოთხოვნის ნაწილშიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბს-558-555(კს-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

კერძო საჩივრის ავტორების მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ფ-მა და ა. ფ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 26 ივნისის №157490 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 24 მაისის №422 ბრძანებისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის 2010 წლის 14 იანვრის №20 მიმართვის არარა აქტებად აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება დ. გ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განჩინებით ა. ფ-ის და ზ. ფ-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ა. ფ-მა და ზ. ფ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით ა. ფ-ის და ზ. ფ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო იყო და არ საჩივრდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ა. ფ-მა და ზ. ფ-მა და მოითხოვეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ფ-ის და ზ. ფ-ის კერძო საჩივარი, თავისი არსით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო, ა. ფ-ის და ზ. ფ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადანყევტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადანყევტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადანყევტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადანყევტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ფ-ის და ზ. ფ-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ფ-ის და ზ. ფ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 26 ივნისის №157490 გადანყევტილების ბათილად ცნობა, ასევე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 24 მაისის №422 ბრძანებისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის 2010 წლის 14 იანვრის №20 მიმართვის არარა აქტებად აღიარება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის განჩინებით ა. ფ-ის და ზ. ფ-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო შემდგომ, სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული. ამდენად, განმცხადებლების მიერ განცხადებაში მითითებულ სადავოდ გამხდარ მოთხოვნაზე არსებითად იმსჯელა არა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, რომლის განჩინებაც კერძო საჩივრით იქნა გასაჩივრებული მხარეების მიერ, კერძო საჩივარი კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის განჩინება. ასევე, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განჩინება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, მით უფრო ამ

ვითარებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხილა აღნიშნული საქმე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გადასინჯვის მოთხოვნით ა. ფ-ს და ზ. ფ-ს უნდა მიემართათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ფ-ის და ზ. ფ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის შესახებ, სსკ-ის 424-ე მუხლის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ა. ფ-ის და ზ. ფ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეპლი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა	3; 13; 21;
ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა	32

2. სამოქალაქო განსჯადობა

საჯარო სკოლის დირექტორს და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილი შრომითი დავების განსჯადობა	42
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით განსჯადობა	47
სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა	54
სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა	69
არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დავის განსჯადობა	94
შრომითი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა	100

3. ტერიტორიული განსჯადობა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის ადგილი	109
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის ადგილი ალტერნატიული განსჯადობის დროს	114; 120; 127; 134; 138
საერთო განსჯადობა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით	142; 148
განსჯადობა უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით	160; 169; 175
განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით	180

განსჯადობა მოსარჩელის საცხოვრებელი
ადგილის მიხედვით 186
განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით 191

**4. საქმის წარმოების განახლების შესახებ
განცხადების განსჯადობა**

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების
განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა 197; 203